გაზეთი ზივრის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№106 (862) 14 - 15 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## გილოცავთ სვეტიცხოვლობას!

# ოცნება გაიაფდა

რეზო შატაკიშვილი

ასე უყვარდათ საქართველოში პირველკაცობა



გვ. 3

დიტო გელოვანი

## ცალ-ცალკეც და ერთადაც

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

## ვინ ეწინააღმდეგება ხუდონჰესის მშენებლობას?



რა სკანდალური ფოტოები გადასცა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ექსკლუზიურად „ვერსიას“?

გვ. 6



გვ. 5

## გია ყარყარაშვილი

„გიორგი მარგველაშვილი იქნება სახალხო პრეზიდენტი!“

## ყურძნის რეალიზაციის შედეგად, კახელმა მევენახეებმა 100 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს



გვ. 9

წლევანდელი რთველის წარმატების საიდუმლო – სახელმწიფომ ყურძნის ფასთწარმოქმნა ღვინის კომპანიებსა და მევენახეებს მიანდო

## ბურჯანაძე „შეფიცულების“ მობილ-ჯგუფებს აღადგენს და 24 ოქტომბერს, „ლოკომოტივზე“, აქციას ჩაატარებს!

გვ. 7

მოსალოდნელია თუ არა არჩევნების შემდგომ ქუჩის აქციები და დესტაბილიზაცია?!

## „მერაბიშვილის ბრძანება იყო, თუ არ დავიშლებოდით, ყველას გაგვანადგურებდნენ!“

გვ. 8

რატომ დაშალეს პარტიზანები და ვინ ამზადებს პროვოკაციას განმუხურში?

## „ვისოლმა“ მთელ ქსელში საწვავის მიწოდების უახლესი ტექნოლოგია დანერგა



ავტომატიზაციის უნიკალური სისტემა საწვავის ხარისხის კონტროლისა და 100% სიზუსტით მიწოდების გარანტიაა

გვ. 11

დიტო გელოვანი

**...ჩვენი ხარხარით ზანზარებდა გამოქვაბული, და ჩირაღდნებიც თითქოს ხტუნავდნენ, მაგრამ უეცრად ყველაფერი გადაფარა რაღაც სასტიკმა, საშინელმა, თავზარდამცემმა დაღრიალებამ: „თქვე ქართველებოოო!!!“ გაბრუებულნი, გაოგნებულნი ასცქეროდნენ ზედა ბაქანზე გადმომდგარ შალვას, და აღარავინ ხარხარებდა კი არა, თავრეტდასხმულნი, პირდაღებულნი მისჩერებოდნენ მრისხანე შალვას, და თუმც გაქვავებულნი იდგნენ, შალვამ ისეთივე შემაძრწუნებელი სიძლიერით დასძახა: „ქართველებოოო, სდექ!!!“**

***(გურამ დოჩანაშვილი, „ცალ-ცალკე და ერთად“)***

# ცალ-ცალკეც და ერთადაც




თქვენი არ იყოს, უცებ მეც შალვა ნათელაშვილი გამახსენდა, მაგრამ ეს სხვა შალვაა — „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება, ანუ მესამე ძმა კეჟერაძე“. ნათელაშვილსაც უყვარს „ერთი რამე“ და საგულდაგულოდაც მალავს, მაგრამ არა არს დამალული და ეს ყველაზე უკეთ, ამ რამდენიმე ხნის წინ, ეკა კახიანმა აღიარა: „ოჯახს ჭამა ხომ უნდა?!“

კი, მაგრამ, რაღა მაინცდამაინც ის „ერთი რამე“ უნდა ჭამოს, ჩარეცხვა რომ სჭირდება?

კითხვა, რა თქმა უნდა, რიტორიკულია, მაგრამ პასუხს მაინც მოითხოვს მათგან, ვინც ყველა დროში, ყველა ეპოქასა და წყობილებაში, ვინც უნდა იყო მანდ — ზვიადა, ედიკა, მიშიკო თუ ბიძიკო, თავს გადასარევად გრძნობს და „პოლიტიკაში არ ერევა“...

მაშ, სპორტსა და პოლიტიკას საერთო არაფერი აქვს? სპორტი და პოლიტიკა უნდა გავმიჯნოთ? წაგება და მოგება ძმები არიან? რაღა რუსეთისთვის მოგვიგია და რაღა ბურკინა ფასოსთვის?

წაგება და მოგება მხოლოდ ტოტალიზატორში არიან ძმები და, ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. მაგალითად, ჩემი ბიძაშვილი, თემურ დოლიძე, ძალიან ხშირად „ცეესკას“, „სპარტაკის“ და რუსეთის ნაკრების მოგებაზე დებს. თუ ისინი მოიგებენ, ეს ფულს იგებს და თუ ისინი წააგებენ, თემური ამბობს, ოღონდ მაგათ წააგონ და ჩემ ფულს არ დავეძებო. წაგებულიც კი მოგებულია, უფრო სწორად — წაგებული უფრო მოგებულია, ვიდრე მოგებული.

„ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ“, — ეს ფილმი იური ოზეროვმა მას შემდეგ გადაიღო, რაც ავღანეთში შეჭრით გაღიზიანებულმა დასავლეთმა მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ფილმის შემკვეთები ამბობდნენ, შენ ბადრო სტყორცნე და ავღანელ ბავშვებს ჩვენ რას ვტყორცნით, ჩვენი საქმეა და მაგასთან კავშირში არ არისო.

ყველაფერი ერთმანეთთან არის კავშირში. როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ დიანა ღურწკაიამ ნაციონალური მოძრაობის ყრილობაში მიიღო მონაწილეობა, უკვე ნათელი იყო, რომ გაივლიდა წლები და სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი მეჩირაღდნე იქნებოდა. მთავარი დანახვა არ არის, მთავარი გაგებაა... ეტყობა, არ იცის, რადგან არ გაუგია ცხრა აპრილი, აფხაზეთი, სამაჩაბლო... არ გაუგია, რადგან ის „ხელოვანია“ და „პოლიტიკაში არ ერევა“.

ლივერპულელმა ბიჭებმა, ვიეტნამის ომის გამო, ბრიტანეთის დედოფალს ორდენები რომ დაუბრუნეს, ღირსების საკითხი იყო თუ რომელიმე ალბომის „პრომო“?

დიანა ღურწკაიას ღირსება არსად გაიშვა, მაგრამ... აი, ადგილობრივი ხელოვნების მუშაკები — გულედანი, წკრიალაშვილი და სხვები — ოლიმპიადის ბოიკოტს რომ ქადაგებენ ანუ დიანა ღურწკაიას რომ უპირისპირდებიან და ღირსებას ახსენებენ, რა გამოდის — ღირსება ადარდებთ?

სულ არ მადარდებს ჩემი ფეშენებელური ვილა კანარის კუნძულებზე, რადგან არ მაქვს და არც მაგათ ადარდებთ ღირსება. ისე, რა საინტერესოა, არა? — ქართველების ჯალათი რუსი მფრინავი და სააკაშვილის ხელის გოგო, დიანა ღურწკაია, ერთად მიარბენინებენ ოლიმპიურ ჩირაღდანს. არის ამაში რაღაც... კოჰაბიტაციური.

ოლიმპიადების დროს ომები წყდებოდაო, ამბობენ, მაგრამ ჯერ არ გამიგია, ოლიმპიადების დროს ღირსებას უკანა პლანზე გადაეწიოს. ღირსება ყოველთვის მთავარია, იმდენად მთავარი, რომ ამას ისინიც კი აღიარებენ, ვისაც ღირსება არ გააჩნია.

რაზეა ლაპარაკი — რუსი ლოთი მფრინავისა და უსინათლო ქართველი (?) მომღერლის (?) მეჩირაღდნეობა, დიცისა და დვანის მავთულხლართები და ონიშჩენკოს ოფოფები, ერთი სიმღერის ცალკეული კუპლეტებია და ოლიმპიადის ბოიკოტირება-არბოიკოტირების შესახებ ატეხილი ზომაზე მეტი აჟიოტაჟიც ამ სიმღერის განუყოფელი ნაწილია. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ოლიმპიადაზე არ უნდა წავიდეთ. ვისი რა საქმეა, წავალთ თუ არ წავალთ? რა, ვინც გვეხმარება, ყველას დახმარებას ვიღებთ? სადაც გვეპატიჟებიან, ყველგან დავდივართ? ვინც გვიწვევა, ყველასთან ვკოტრიალობთ?

უბრძანეს ლევან ყიფიანს, ოლიმპიური იდეალები დაიცავიო და იცავს. უბრძანეს გულედან-წკრიალაშვილს, ღირსებაზე ისაუბრეთო და საუბრობენ. ეგეც შენი „სად სპორტი და სად პოლიტიკა“. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მე ბოიკოტს მოვითხოვ, ქინძმრიდან კი ლოქო თავს ყოფს და მეთანხმება. ლოქო ქინძმარში, ანუ გრიგოლ ვაშაძე („მე რომ ვიყო სპორტსმენი, სოჭის ოლიმპიადაზე არ წავიდოდი, ხოლო ქვეყნის ხელისუფლება რომ ვიყო, მტკიცედ ვიტყოდი — წასვლა არ ღირს, რადგან ეს ჩვენთვის არ იქნება მომგებიანი“), რომელიც, გული მიგრძნობს, ჯერ კიდევ რუსეთის მოქალაქეა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, დღევანდელ ხელისუფლებას ოლიმპიადისთვის ბოიკოტი რომ გამოეცხადებინა, ნაცები ეგრევე აჩხავლდებოდნენ, სპორტსმენების უფლებები ილახებაო, პოლიტიკა და სპორტი ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოსო და... და არასამთავრობოებიც, რომლებმაც გასულ კვირაში პეტიცია შეადგინეს და ბოიკოტირებისკენ მოგვიწოდებენ, შეადგენდნენ პეტიციას და ბოიკოტის მომხრეებს ლიბერალური ღირებულებების მტრებად გამოგვაცხადებდნენ.

პაატა ზაქარეიშვილმა — მხოლოდ მეჩირაღდნის გამო, ყოვლად დაუშვებელია სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარის თქმაო... ვაჰ, „მხოლოდ მეჩირაღდნე“... პირველი ოქტომბერი რომ არა, „მხოლოდ მეჩირაღდნეც“ საკმარისი იქნებოდა, ზაქარეიშვილს ოლიმპიური კომიტეტის წინ, ბოიკოტის მოთხოვნით, შიმშილობა გამოეცხადებინა.

ყოველივე ამის შემდეგ, ლოგიკური იქნებოდა, გაგვეხსენებინა, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე როგორ დააკავეს ორი პირი, მაგრამ რადგან აქამდე ღირსებაზე ვსაუბრობდით, პრასტიტუტკები და ენჯეოშნიკები იქით იყოს. ოლიმპიადის ბოიკოტირება ღირსების საქმეა, ხოლო ნაცებისა და მომღერალ-ენჯეოშნიკების სრული თანხმობა — ფარული ჩანაწერების. ღარიბაშვილმა კი გაანადგურა ფარული ჩანაწერები, მაგრამ სააკაშვილი თვალის ჩინივით უფრთხილდება და, ემანდ, რამე ხომ არ დაიკარგაო, დარწმუნებული ვარ, ყოველ საღამოს დიდ ეკრანზე უყურებს.

მოკლედ, პოლიტიკური სპორტის არასამთავრობო ხელოვნებაში ეგეთი ამბებია, მაგრამ ცხოვრება ხომ მხოლოდ პოლიტიკური სპორტის არასამთავრობო ხელოვნება არ არის? ბიზნესიც მნიშვნელოვანია. ჩემი თუ არ გჯერათ, აგერ არის დავით უსუფაშვილი და იმას ჰკითხეთ. აგერ, დავით უსუფაშვილი: „დაიქცევა სახელმწიფო, თუ ხელისუფლება ბიზნესისგან ჯერ სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესებზე ზრუნვას ითხოვს და შემდეგ კომპანიის ინტერესებზე ზრუნვას. თუკი კერძო ბიზნესმენს ხელისუფლება ასეთ ამოცანებს უყენებს, ე. ი. სრულიად გაუგებარ ვითარებაში ვამყოფებთ ერთმანეთს. კერძო ინტერესებმა და კერძო ინტერესების წინსვლისა და წარმატების ჯამმა უნდა მოიტანოს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინსვლა და წარმატება. არ მესმის, როცა ამბობენ, თითქოს ამ შემთხვევაში სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესებისადმი ზრუნვა ერთმანეთს უპირისპირდება“.

ბლა-ბლა-ბლა... მაშ, იქნებ, შვიდი მილიარდი ლარის შესახებ გვესაუბრა! რომელი შვიდი მილიარდის? აი, იმ შვიდი მილიარდის, წამდაუწუმ რომ ახსენებენ ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარი წართმეული ქონებისა და ბიზნესების უკან დაბრუნებას შეეხება. იტყვი რამეს და გამოხტება პარლამენტსა და მთავრობაში ახლადჩამთბარი რომელიმე უსაქმური, წარბებს შეჭმუხნის, თავს გადააქნევს და შვიდ მილიარდს ახსენებს — ეგ ქონება და ბიზნესი კანონიერ მფლობელებს რომ დავუბრუნოთ, სწორედ ამდენი დააწვება სახელმწიფოს და მერე დედა აღარ გვეყოლებაო.

მინდა გითხრათ, რომ ამქვეყნად სულ რამდენიმე რამ არის ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცული: 1. არის თუ არა მარსზე სიცოცხლე? 2. სად გაქრა ალიოშა დევდარიანის არქივი? 3. ვინ დათვალა ზღვაში ქვიშა, ცაზე ვარსკვლავები და ის შვიდი მილიარდი ლარი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

აქაც ფარული ჩანაწერების სუნი მცემს და ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ კოჰაბიტაცია ფარული ჩანაწერების პროდუქტია.

ნახეთ: „მიკროავტობუსების ხაზების ყოფილი ინვესტორები თბილისის მერიის შენობის წინ აქციას მართავენ, რომელიც „თავისუფალი საქართველოს“, მძღოლთა და მგზავრთა უფლებების დაცვის ასოციაციისა და ტრანსპორტის სფეროს ინვესტორთა უფლებების დაცვის კავშირის მიერ არის ორგანიზებული. მისი მონაწილეები ითხოვენ, სამართლიანი ტენდერი ჩატარდეს, სადაც მათაც ექნებათ მონაწილეობის უფლება, დაუყოვნებლივ გაუქმდეს 2011 წელს სამარშრუტო ხაზებზე ჩატარებული ტენდერის შედეგები, საკრებულომ დაიბრუნოს მერიის მიერ წართმეული უფლება ქალაქის სამარშრუტო გადაზიდვებზე კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“.

მოზრდილი ციტატა გამოვიდა, მაგრამ რას იზამ, ხდება ხოლმე... მაიცა და, რა გახდა იმ ტენდერის გაუქმება და ახლის ჩატარება? რა გახდა „კავკასუს ონლაინის“ საკითხის გარკვევა? არც ერთი ამ საკითხის გადაწყვეტა არანაირ ფინანსებს არ მოითხოვს, მაგრამ აქ საქმე ფულში კი არ არის, კოჰაბიტაციაშია — მარშუტკებიც და კავკასუსიც შარანგიების ხელშია, შარანგიები გიულას ბიჭთან ძმაკაცობენ, გიულას ბიჭი კი, ყოველ საღამოს ზის და პოლიტიკური ოპონენტების ფარული ჩანაწერებით ტკბება. აი, ეგ არის კოჰაბიტაცია, სხვა კი არაფერი!

ჰოდა, გასულ კვირაში, უცხოელი დიპლომატებისთვის შემეცნებითი კურსი „გაიცანი საქართველო“ რომ ჩატარდა, იქ ალბათ ალავერდი, სვეტიცხოველი და ხორუმი აჩვენეს, „ჩაკრულო“ მოასმენინეს და „ვეფხისტყაოსანი“ წაუკითხეს. ეს ყველაფერი გუშინდელი საქართველოა. დღევანდელი საქართველოს გაცნობა კი მხოლოდ ფარული ჩანაწერებით არის შესაძლებელი. იქნება და... ნანახიც აქვთ და მოსმენილიც და ამიტომაა, მიშას ხელი არ ახლოთ, ვანოს გაუფრთხილდით და კოჰაბიტაციას მიჰყევითო, რომ გვიკიჟინებენ. თუ მართლა ნანახი აქვთ და, მე ის მიკვირს, ჯერ კიდევ რომ არ მოუთხოვიათ, ჩვენვე ვაღიაროთ რუსთაველის სომხური წარმომავლობა და ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების აუცილებლობა.

თუმცა, ეს ხომ ერთი და იგივეა? როცა ღირსება არ არის, ყველაფერი ერთი და იგივეა, ანუ ყველაფერი სულ ერთია, ხოლო ის ერთი — არაფერია.

„თუ არის არჩეული კურსი, არ უნდა გადაუხვიოთ“, — უთხრა კოჰაბიტაციის რეჟიმში მცხოვრებ ქართველობას ლიტვის სეიმის თავმჯდომარემ, ლორეტა გრაუჟინიენემ. იცი, რა, ქალო, ჯერ ფეხის გაპარსვა ისწავლეთ და ჭკუა მერე დაგვარიგეთ. არ გაატრაქტორეს, ტო-ო!!!

„მე ჩამოვედი, რათა მხარი დავუჭირო ჩემს ძველ მეგობარს, ვანო მერაბიშვილს. ის, რომ შს ყოფილი მინისტრი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი არის დაპატიმრებული, ეს მოვლენა საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე დადებითი კუთხით არ წარმოაჩენს. მე მგონია, რომ ეს საქმე არის პოლიტიკური და მიზანი არის კონკურენტებს გაუმკლავდნენ საპრეზიდენტო არჩევნების წინ“, — განაცხადა ლიტვის შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, რაიმუნდას პალაიტისმა.

ოე, რიჟა, მარცხი არაფერი მოგივიდეს!

საინტერესო ნიუსისოდენი სათაური: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ოპოზიციური პარტიის განადგურების მცდელობაში ადანაშაულებს“. და განა მხოლოდ ის...ნაციონალური მოძრაობის განადგურების მცდელობაში თეა წულუკიანს მეც ვადანაშაულებ. თეა, უძვირფასესო და სულზე უტკბესო... რა არის, სულ მცდელობა და მცდელობა, როდის იქნება შედეგი, ჰა? იყავი შედეგზე ორიენტირებული, თორემ „მინდოდა“, „ვაპირებდი და „ვცადე“ არ ითვლება.

ანაც ეს — „ნინო გიორგობიანი: „სიცრუეა ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავმა სცემა“.

მე თუ მკითხავ, ის უფრო ცუდი იქნება, თუ გაირკვევა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის არც ერთ ნათესავს ნაციონალური მოძრაობის არც ერთი აქტივისტი ჯერ არ უცემია. ხომ იცით, როგორც არის? — ზოგზე დარიგება ჭრის, ზოგზე ტკბილი სიტყვა, ზოგზე კრიტიკა, ზოგზე გინება და ზოგზეც დედის კრუსუნი. მაგათი (ნაცებს ვგულისხმობ) წამალი დედის კრუსუნია, ოღონდ, თან მამაც უნდა შიმშილობდეს.

შიმშილობდეს და... მსოფლიოში ყველაზე პროვინციული „დღესასწაული“ — თბილისობა, როგორც ყოველთვის, უზომო ჭამა-სმითა და ნთქმით აღინიშნა. თბილისის საკრებულომ იყოჩაღა, შეძლო და ასკაციანი სუფრა შვიდ ათას ლარში ჩაატია. მერიას სულაც არ გაჭირვებია, დანახარჯს 20 ათასისთვის გადაეჭარბებინა. საკრებულომ „წისქვილში“ იქეიფა, მერიამ — მთაწმინდის რესტორანში, სხედან ახლა და არკვევენ, რომელი უფრო ღორმუცელაა, მერია თუ საკრებულო. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობოებსა და მათთან შეპირაპირებულ ჟურნალისტებს რატომღაც გამორჩათ მერიის 20 ათასი და მაინცდამაინც საკრებულოს შვიდ ათასზე გაამახვილეს ყურადღება. ეს „რატომღაც“ სრულიად ზედმეტი აღმოჩნდება, თუ ავლაბრის რეზიდენციაში ტრადიციადქცეულ საღამოს კინოჩვენებებს გავიხსენებთ. ისე კი, გადავალ „წისქვილში“, გამოვითხოვ მენიუს და ვნახავ, რა ჭამეს ქალაქელმა მეოცნებეებმა ამისთანა, კაცი 100 ლარი რომ დაუჯდათ. მთაწმინდის მენიუ კი... აბა, რა საინტერესოა მთაწმინდის მენიუ? ისედაც ყველამ ვიცით, რომ უგულავა და მისი რაზმი დიდი ხანია (თუ მთელი ცხოვრება არა) იმ „ერთ რამეს“ მიირთმევენ, ჩარეცხვა რომ სჭირდება.

ერთი ნიუსი სრულად: „პრეზიდენტის პროექტი „ღიმილიანი საქართველო“ აღარ გაგრძელდება. როგორც პრესკონფერენციაზე ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ აღნიშნა, ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია მოსაგვარებელი, ვიდრე ორთოპედია-სტომატოლოგიური პროექტი „ღიმილიანი საქართველო“. არსებული ინფორმაციით, მოსახლეობის ნაწილმა მოასწრო პროთეზების უფასოდ ჩასმა, ნაწილი კი უკმაყოფილო დარჩა, ვინაიდან, ამ პროექტის ფარგლებში, პროთეზების მორგებამდე მათ კბილები ამოუღეს, არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, კი პროექტი გაჩერდა, რის გამოც, ისინი კბილებისა და პროთეზების გარეშე დარჩნენ“.

ღიმილი და კბილები ერთმანეთთან არანაირ კავშირში არაა. მთავარია, რაზე იღიმი, რა გახარებს და ახლა ისეა, რომ მე არაფერს გეტყვით, უბრალოდ, მუხრან მაჭავარიანს მოვიშველიებ: „ეს ჩემგან კია მეტისმეტი თუმცა სიმკაცრე, / მაგრამ ყოველთვის ცნობილია, არ ხამს ალერსი, / დაღონებული როა კაცი, მესმის იმ კაცის! / გახარებული კაცის — არ მესმის. / ვინც გინდა იყავ — გინდ არქიფო, თუ გინდა ზაქრო! — რა გიხარია, შე შობელძაღლო?!“

სულ კარგად ბრძანდებოდეთ.

**ს.ბ.ბ.წ. (სააკაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, წიკლაური)** მე ის უფრო მადარდებს, სიტყვა კლოუნს ქართული შესატყვისი რომ ვერ მოვუძებნე, რაზე არ შევჩერდი — მასხარა, ჯამბაზი, ოინბაზი, ბერიკა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი მივუსადაგე.

***(გურამ დოჩანაშვილი, „ცალ-ცალკე და ერთად“)***

ერეზო შატაკიშვილი

# ოცნება გაიაფდა



## ასე უყვარდათ საქართველოში — პირველკაცობა

ქართველებმა პრეზიდენტი პირველად 22 წლის წინ აირჩიეს, წელს კი უკვე მეექვსედ ტარდება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები.

აქამდე ჩატარებულ არჩევნებზე ყველაზე მეტი ხმა მიიღო ზვიად გამსახურდიამ – 2 565 362. ყველაზე ცოტა ზურაბ ქელეხსაშვილმა 1 908. ყველაზე მეტჯერ კენჭი აქვს ნაყარი ქართლოს ღარიბაშვილს – 3-ჯერ და ახლაც კენჭაობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთხელ უარი უთხრეს, თორემ თავად უნდოდა.

რამდენ ქართველს უნდა პრეზიდენტობა? კალკულატორის გარეშე, ნამდვილად ვერ დაითვლი. აქამდე ეს სურვილი მხოლოდ სამმა ქართველმა აიხდინა – ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი. ოცნებით ბევრმა იოცნება – ზოგმა რაღაც პროცენტებიც დააგროვა წინა არჩევნებზე, ზოგმა აქამდეც ვერ მიაღწია – ცესკო-ში რეგისტრაციის ეტაპზევე გაიჭედა, ზოგმა ცესკო-მდეც არ მიაღწია – გულში დაიმარხა ეს სურვილი ან „კუხნაში" თქვა – შინაურობაში. ან დაუმარხეს – როგორც ვთქვათ.... ალასანიას ან თუნდაც კახი კალაძეს, მერე რა, რომ არ ამბობს. სად იყო ბიძინა, სად იყო ოცნება, კახი რომ პრეზიდენტობაზე ოცნებობდა?! მოკლედ, ქართველს პირველკაცობა „ევასება" და აქ გასაკვირი არც არაფერია – ოდითგან ასე მოგვდგამს. კონსტანტინე გამსახურდიამ გიორგი პირველს ათქმევინა – „ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა". სურვილი, წყურვილი და ოცნება – ერთია, მეორეა, ყველას სჯერა, რომ შეუძლია ამხელა ტვირთის ზიდვა, მეტიც – სჯერა, რომ არავინ იქნება მასზე უკეთესი პრეზიდენტი, ვერავინ მოუვლის ქვეყანას მასზე უკეთ – „მამულო საყვარელო, ჩემ ხელში აყვავდები".

პირველ საპრეზიდენტო არჩევნებზე 87%-იან ზვიად გამსახურდიას 5 კონკურენტი ჰყავდა – ვალერიან ადვაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, ნოდარ ნათაძე, ჯიმი მიქელაძე, ირაკლი შენგელაია. ამ ხუთიდან ყველაზე მეტი ხმა ვალერიან ადვაძემ მიიღო – 240 ათასზე ცოტა მეტი – 7, 17%. 7%-იანი ადვაძე გამსახურდიას ყველაზე მსხვილი კონკურენტი იყო. ვალერიან ადვაძე ეკონომისტი იყო, კომუნისტი, აი, ორპარტიულ საქართველოზე რომ ოცნებობდა – „ჩვენ ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხმა და სახალხო ფრონტის ხმა ერთად იქნება ერის ხმა, მთელი ხალხის ხმა", – ამბობდა ადვაძე. ესეც ოცნებად დარჩა და პრეზიდენტობაც. ვალერიან ადვაძე პრეზიდენტი ვერ გახდა, მაგრამ გადატრიალების შემდეგ, სახელმწიფო საბჭოში მოგვევლინა და თუ პირველი პრეზიდენტი ვერა, საქართველოს პირველი ელჩი ნამდვილად გახდა – რუსეთში (1993-95წწ). ვალერიან ადვაძე წელს გარდაიცვალა, 82 წლის ასაკში. გარდაცვალებამდე კი პეტერბურგში, ებრალიძის კონგრესზე გამოჩნდა. აი, დანარჩენმა ოთხმა კანდიდატმა 4%-იც ვერ მოაგროვა ერთად: ჯიმი მიქელაძემ 1,58% აიღო, ნოდარ ნათაძემ – 1,14%, ირაკლი შენგელაიამ 0,88%, თამაზ კვაჭანტირაძემ – 0,25%, ცოტაც და, სახლიდან მოსატანი გაუხდებოდა ხმები. მეორედ საპრეზიდენტო არჩევნები 1995 წელს გაიმართა. შევარდნაძესაც ხუთი კონკურენტი ჰყავდა – ჯუმბერ პატიაშვილი, აკაკი ბაქრაძე, პანტელეიმონ გიორგაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, როინ ლიპარტელიანი. ჯუმბერ პატიაშვილს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ მოხალისე „პრეზიდენტს" — 19,58% დააგროვა. 2000 წლის არჩევნებზე 17%-მდე დააგროვა. ცხადია, ის პირველობას ვერანაირად ვერ ეცილებოდა შევარდნაძეს და ვერც მეორე ტურს „უჩალიჩებდა", მაგრამ „მეორეკაცობის" კვალობაზე ამხელა პროცენტს ვერავინ იღებდა. პატიაშვილის რეკორდი შემდეგ მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძემ მოხსნა – 25, 69%-ით, 2008 წლის არჩევნებზე. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ინტელექტის ეტალონს – აკაკი ბაქრაძეს, სულ 1,48%-მა მისცა ხმა, ანუ – 31 350-მა კაცმა. რა მოხდა? ინტელექტუალებმაც კი არ მისცეს ხმა ინტელექტუალს? მათაც აღარ სჯეროდათ, რომ რამე ძალა გააჩნდა ინტელექტს და შევარდნაძის გამოცდილება და მარიფათი ამჯობინეს? თუ მაგაზე მეტი ინტელექტუალი არც იყო? რაც უნდა იყოს, ერი, რომელიც ორიოდე წლის უკან დამოუკიდებლობაზე, ეროვნულ თავისუფლებაზე ოცნებობდა, არათუ ოცნებობდა – მკერდს უშვერდა ორლესულ ნიჩბებს, ახლა ხმები ორ კომუნისტ ლიდერს შორის ნაწილდებოდა, რომელთა ბრალეულობის საკითხი 9 აპრილის ტრაგედიაში დღემდე არ მოხსნილა საზოგადოებისთვის. ამ დროს აკაკი ბაქრაძეს, რომლის ლექციებმაც, სტატიებმაც ბევრწილად განსაზღვრა ეროვნული ტალღის აგორება, 1,5%-ღა აძლევს ხმას. თუნდაც აქედანაც კარგად ჩანს, რომ ნომენკლატურის შურისძიება შედგა და შური მხოლოდ გამსახურდიაზე, მრგვალებზე კი არ იძია – ვინც წაართვა ხელისუფლება, არამედ ყველაზე. დავუბრუნდეთ მოხალისე პრეზიდენტებს. სწორედ იმ არჩევნებზე გამოჩნდა ქართლოს ღარიბაშვილი – ჩიბუხით და დღეს, როგორც თვითონ ქართლოს ღარიბაშვილია წარმოუდგენელი ჩიბუხის გარეშე, ისე ლამის საპრეზიდენტო არჩევნებია წარმოუდგენელი ქართლოსის გარეშე. ქართლოსმა 1995 წლის არჩევნებზე 0,47% აიღო – ხმა 10 023-მა კაცმა მისცა. ათი ათასმა კაცმა ქვეყნის ბედი ანდო, მანაც გემრიელად გააბოლა. რა, არ უღირდა არჩევნებში მონაწილეობა ერთი „ხოშიანი" გაბოლებისთვის? შემდეგ არჩევნებზე – 2000 წელს, მაჩვენებელი დაუვარდა – 0,34%-მაღა მისცა ხმა, ანუ 7 963-მა კაცმა. შემდეგ, 2004 წელს კიდევ დაუვარდა ეს მაჩვენებელი 0,21%-მდე, ხმა 4 222-მა კაცმაღა მისცა. ასე თუ გაგრძელდა, ქართლოსის ელექტორატი მალე წითელ წიგნში გვეყოლება შესატანი. ქართლოს ღარიბაშვილს 2008 წლის არჩევნებშიც უნდოდა მონაწილეობა, სურვილიც გამოთქვა, მხარდამჭერთა 52-ათასიანი სიაც მიიტანა, მაგრამ... კანდიდატების სიაში ვერ მოხვდა. ისე, რა საინტერესოა, ამ ქვეყანაში როგორ გვანან ერთმანეთს ამომრჩეველი და ამოსარჩევი. პოლიტიკოსები ამომრჩეველს ატყუებენ, ამომრჩეველი – პოლიტიკოსებს, თორემ სხვა რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსს ცესკო-ში მიაქვს 50-ათასიანი სია ხელმოწერების და მერე იმ 50 ათასიდან 5 ათასი თუღა აძლევს ხმას. ქართლოსი მაინც დაგვიბრუნდა და ამ არჩევნებზე ისევ ჩვენთანაა, 23 კანდიდატს შორის ერთ-ერთია. 1995 წლის არჩევნებზე გამოჩნდა კიდევ მეორე მოხალისე „პრეზიდენტი" – როინ ლიპარტელიანი. სულ 0,37% აიღო (7 948 ხმა), ეწყინა, მომდევნო არჩევნებზე მაინც უნდოდა მონაწილეობა, აპირებდა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც არ იყო კანდიდატთა სიაში. კანდიდატთა სიაში ვერც გურამ აბსნაძე მოხვდა, ვერც ზურაბ გაგნიძე. 2000 წლის არჩევნებზე შევარდნაძესა და პატიაშვილს „კონკურენციას", ღარიბაშვილის გარდა, უწევდნენ ავთანდილ ჯოგლიძე, ვაჟა ჟღენტი და თენგიზ ასანიძე. მერე რა, რომ ამ 4-მა „მუშკეტერმა" ერთად – 1%-იც კი ვერ აიღო და ყველა ერთად 0,86%-ს დასჯერდა: ქართლოსი – 0,34%; ავთანდილი – 0,25%; ვაჟა – 0,15%; თენგიზი – 0,12%.

2004 წელს, ანუ ვარდების რევოლუციის ტალღაზე ისეთი სიტუაცია იყო, სააკაშვილთან ტყუილად ჭიდაობის ნერვი არავის ჰქონდა, პრაქტიკულად, უკონკურენტო იყო და რომ არა მარადიული მოხალისეები, ბიულეტენში მარტოც იქნებოდა, მაგრამ აცალა ვინმემ მარტოობა?

დატრიალდნენ ბიჭები – ქართლოსი (ღარიბაშვილი), როინი (ლიპარტელიანი), თეიმურაზი (შაშიაშვილი), ზაზა (სიხარულიძე), ზურაბი (ქელეხსაშვილი) და მშვენიერი 6-კაციანი სუფრა, უკაცრავად – ბიულეტენი გაიშალა. ხუთმა ერთად 3%-იც კი ვერ წაღლიტა მიხეილს. თემურ შაშიაშვილმა დიდი ბლატაობის შემდეგ 1,87 % მოაგროვა, მერე რა? ეს სახარხარო პროცენტი მას სულაც ვერ აჩუმებს, მეტიც ისეთი რიხით საუბრობს ხოლმე ეს 1,87%-იანი იმ 96 და 53%-იანი მიშას ვადაგასულ-გამოსულობაზე, ისე ომახიანად გაიძახის, ხალხს არ უნდიხარო, გეგონება, თვითონ შაშიაშვილი ვინმეს ოდესმე უნდოდა. „ისეთმა ფურმა დამწიხლოს" მოტივებზე: ჯერ იმდენი პროცენტი მოიწველე არჩევნებზე, რასაც მიშა „იწველიდა" და ცოტა მერე გააქანგამოაქნიე წიხლი. ახლა ყარე – დემოკრატიაა, მაგრამ ეს დემოკრატია არც ლობიოა და არც სკლეროზი – საკუთარი 1,87% უნდა გახსოვდეს. აგერ როინ ლიპარტელიანმა პატიოსნად აიღო 0,25%, (5 158 ხმა) და „დასტოინად" გაიბუტა.

2008 წლის არჩევნებზე ახალი ეტაპი დგება ქართულ საპრეზიდენტო მიეთ-მოეთში. საარჩევნო ბიულეტენში, პრეზიდენტობის კანდიდატის რანგში, პირველად იწერება ქალი. ეს ქალი პოლიტიკოსი ირინა სარიშვილია. ოდესღაც, თბილისში ვანგას წინასწარმეტყველება გაბაზრდა – ყოველ შემთხვევაში, ვანგასად გასაღდა — საქართველოს შემდეგი პრეზიდენტი ქალი იქნებაო. მერე დაამატეს იურისტიო. მაშინ ირინა სარიშვილმა იურიდიული განათლებაც მიიღო – ვანგას პარამეტრებში რომ ჩამჯდარიყო. პრეზიდენტობა ვერ აიხდინა (საერთოდ, ეს ვანგას წინასწარმეტყველება ძალიან „ლაითად" ახდა – 2-ჯერ „პოსოროკდნეი" პრეზიდენტი ქალი გვყავდა), პრეზიდენტი ვერ გახდა, მაგრამ პრეზიდენტობის პირველი ქალი კანდიდატი ხომ გახდა? მერე რა, რომ სულ 0,16% მოაგროვა, ხმა სულ 3 242-მა კაცმა მისცა. სხვათა შორის, მას დიდი ილუზიები არც აწუხებდა, იცოდა, რომ ვერ გაიმარჯვებდა და ღიადაც ამბობდა – ტრიბუნისთვის ვმონაწილეობ. ბევრი სხვაც ამისთვის მონაწილეობს, მაგრამ კი არ ამბობს. პირიქით, ისეთი რიხით, თავდაჯერებით საუბრობს გამარჯვებაზე, იმქვეყნიდან შვებულებით გამოპარული თომას ჯეფერსონი გეგონება.

2008 წელს, არჩევნებზე, ირინას გარდა, თავი შეიქციეს – გიორგი მაისაშვილმა – 0,77 %-ით, დავით გამყრელიძემ – 4,02%-ით, შალვა ნათელაშვილმა – 6,49%, ბადრი პატარკაციშვილმა – 7,1%-ით. ლევან გაჩეჩილაძემ 25,69% აიღო და რეკორდი დაამყარა – მანამდე, მეორე ადგილზე გასულს ამხელა პროცენტი არავის აუღია. 2008 წლის არჩევნები წინა არჩევნებისგან დიდად განსხვავდებოდა, ჯერ ერთი, აღარ იყო ერთი, რეალურად უკონკურენტო კანდიდატი და მეორეც — სიაში აღარ იყვნენ ტრადიციული მოხალისე პრეზიდენტები, ნაცნობები, ან ისეთი უცნობები – მანამდე რომ არც გაგეგონა. მოხალისეთა როლშიც რეალური პოლიტიკოსები იყვნენ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ 2008 წელს, ამ 7-ის გარდა, პრეზიდენტობა არავის უნდოდა. უნდოდა რომელია? — პრეზიდენტობის სურვილი 19-მა პირმა გამოთქვა, მაგრამ შალვა ცერცვაძემ, თამაზ ბიბილურმა, გიორგი ყორღანაშვილმა, გიორგი გაჩეჩილაძემ, ფაზილ ალიევმა და თეიმურაზ შაშიაშვილმა მხარდამჭერთა სიები არ წარადგინეს და მარათონს დროულად გამოეთიშნენ. სიები კი წარადგინეს, მაგრამ კანდიდატები მაინც ვერ გახდნენ – ლევან ქიძინიძე, გიორგი შერვაშიძე, შალვა კუპრაშვილი, ქართლოს ღარიბაშვილი, ავთანდილ მარგიანი, არჩილ იოსელიანი.

რა ვითარებაა დღეს? მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ოცნება მოვიდა, ოცნებაც „გაიოლდა", ოცნებების ინფლაცია დაიწყო და ცესკო-ს 54-მა პირმა მიაკითხა, პრეზიდენტობა მსურსო. ქალებმაც აიწყვიტეს. თუ 2008 წელს ერთი ირინა ეწერა ქალი ბიულეტენში, წელს „უჟე" სამი ქალბატონი გვყავს — ნინო ბურჯანაძე, ნესტან კირთაძე და ნინო ჭანიშვილი. ეს უკვე კანდიდატები, კიდევ 2 ქალბატონს სურდა პრეზიდენტობა. ერთი ყველას მოგეხსენებათ – სალომე ზურაბიშვილი, მეორე ასმათ მაჭავარიანი. არ მკითხოთ, ვინაა. ცალკე ასმათი ვიცი „ვეფხისტყაოსნიდან" და ცალკე გვარი, ერთად არ ვიცი, ვინაა. ეგ კი არა, ისიც ახლა გავიგე, ვინაა, ლამის ანა კალანდაძის თუთასავით რომ სახლში შემოგვეჭრა – სერგო ჯავახიძე – თქვენი ოჯახის წევრი ვარო. უფრო სწორედ, თქვენა ხართ ჩემი ოჯახის წევრებიო. მისი კლიპის ყურებისას რატომღაც ის დიალოგი მახსენდება, რომელიც ყველა ბიჭს „გადაუტანია" თავის თავზე: ვინმესთვის უთქვამს, ძმაო და იმ ვიღაც ძმაოს პასუხი დაუბრუნებია „შენი ძმები ტყეში დარბიან". ემანდ ამ ჩვენ სერგოსაც ასე არ უთხრას ელექტორატმა. დაეკაკუნებინა მაინც და ისე შემოსულიყო. რავი, ისე კი ჰგავს ზრდილობიან კაცს და ეს კაკუნი რაღამ დაავიწყა?!

მოკლედ, ამ არჩევნებზე პრეზიდენტობის ხვაშიადი ოფიციალურად გამოთქვა 54-მა პირმა, 31 მათგანს ცესკო-მ უარი უთხრა რეგისტრაციაზე – სხვადასხვა მიზეზთა გამო. პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრირებულია 23. ზოგს საზოგადოება კარგად იცნობს, ზოგს ზედმეტადაც, ზოგს – სრულებით არა. ამავე სტატიაში მინდოდა, ეს უცნობები გამეცნო, მაგრამ ზოგი იმდენად უცნობი აღმოჩნდა, ლამის „გუგლმიუწვდომელი" და „კარდაკარ" უნდა დავუარო სოცქსელებში. იმედი მაქვს, მთლად კარდაკარ დავლა არ მომიწევს. „კარდაკარის" შედეგებს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ. რას ვიზამთ, ასეა, ოცნება ისე გაიაფდა, რომ ლამის ყველას შეუძლია პრეზიდენტი თუ არა, პრეზიდენტობის კანდიდატი მაინც გახდეს.

# „თუ ერთი კაცი მაინც რაიმე საბუთს მოიტანს ან ფაქტს დაასახელებს, რომ საეჭვო საქმეში ვარ გარეული ან ვინმეს ვლობირებ, მანდატზე უარს ვიტყვი!“



რუსუდან შელია
557-100-768

## დეპუტატი ოთარ ჩრდილელი ჭორების ავტორებს ყველა ფაქტის დასამტკიცებლად 5-თვიან ვადას აძლევს და ურჩევს, დანგრეულ სამტრედიას მიხედონ!

**ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებას კატეგორიულად გამორიცხავს, საპარლამენტო უმრავლესობის ერთწლიან მუშაობას კი „ჩახუჭუჭებული კანონმდებლობის გამოჯანსაღების“ პერიოდს უწოდებს. არც პოლიტიკიდან პრემიერის წასვლის გადაწყვეტილებას აფასებს ნეგატიურად; მეტიც, დარწმუნებულია, რომ „პრემიერმა ყველაფერი უკეთ იცის“. რატომ ვერ ჩამოყალიბდა კოალიცია „ერთ ხმაში მომღერალ გუნდად“ და აქვს თუ არა ბიზნესწილი თბილისის ავტოსადგურში, „ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ოთარ ჩრდილელი ესაუბრა.**

— პოლიტიკურად საკმაოდ მძიმე ერთი წელი გავიარეთ — მუდმივად უზნეო და ვადაგასულ პრეზიდენტს ვებრძოდით. ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში, წარმატებებთან ერთად, შეცდომებიც გვქონდა, თუმცა მთავარია, ამას სისტემური ხასიათი არ გააჩნდა; თანაც პირველი წელი ჩამოყალიბების, კადრების სწორად გადანაწილებისა და ანალიზის პერიოდი იყო. საბედნიეროდ, იმ მოლიპულ გზაზე არ ვდგავართ, რასაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ნაციონალური მოძრაობა დაადგა.

**— ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ ნეგატიური მუხტიც საკმარისად დაგროვდა — მოსახლეობა წინასაარჩევნოდ მრავლად გაცემულ და ჯერ კიდევ შეუსრულებელ დაპირებებს გახსენებთ.**

— ვიცი, მთავრობა მეორეხარისხოვან საკითხებზე დიდ დროს კარგავს, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი კი არა, ქაოტური პოლიტიკური მდგომარეობის შედეგია. რომელ ქვეყანაში ginახავთ ხელისუფლებასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული პრეზიდენტი და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურები?! ეს ადამიანი ჩვენი ქვეყნის სირცხვილია, მავნე ელემენტია, რომელიც, მართალია, დაჯდა, მაგრამ ჯერ მაინც ტოკავს. საბედნიეროდ, მავნე პრეზიდენტს 27 ოქტომბერს გამოვცვლით. რაც შეეხება დაპირებებს, პირადად მე, ამაყი ვარ, რომ ამნისტიის შესახებ კანონის, როგორც ჰუმანური აქტის მუშაობაში ვმონაწილეობდი — ჯამში, 17 053 ადამიანი გავათავისუფლეთ. საკმაოდ მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, სასამართლო სისტემისა და შრომის კოდექსის გასაჯანსაღებლადაც. 1 აპრილიდან სახელმწიფო პენსია 125 ლარი გახდა, 1 სექტემბრიდან კი ყველა ასაკის პენსიონერისთვის პენსია 150 ლარით განისაზღვრა; ამასთან, დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადასახადების დაცალკევება ანუ ნაციონალური ტვირთი ხალხს მოეხსნა და დენი ნაგავს აღარ დაწერს. აღსანიშნავია ისიც, რომ 200 000 ლარამდე მოგების მქონე გლეხები მოგების გადახდისგან სრულად გათავისუფლდნენ.

**— რეალურად, საკანონმდებლო ცვლილებები მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებაზე დადებით გავლენას ჯერ ვერ ახდენს.**

— მესმის, ეს მხოლოდ ციფრებია, მშრალი ციფრები კი არავის არაფერში სჭირდება, მაგრამ რეალობა სწორედ ასეთია. ნამდვილად არ მინდა, ვისაც არ დაეზარება, თითი პარლამენტისკენ გამოიშვიროს და დილა-საღამოს უსაფუძვლოდ გვლანძღოს, რადგან მართლაც მაქსიმუმს ვაკეთებთ. არც ვტრაბახობ და არც პარლამენტის ადვოკატობას ვიჩემებ, ჩემზე კარგად არავინ იცის, რამდენ წინააღმდეგობას ვაწყდებით ამა თუ იმ კანონზე მუშაობისას, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ ნაციონალებს მხოლოდ სათავისოდ კი არ ჰქონდათ კანონები მორგებული, მუხლობრივადაც ისე ჰქონდათ ყველაფერი ჩახუჭუჭებულ-ჩაღრმავებული, რომ მის გამოსწორებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.

**— დასავლური პრესაც აქტიურად გაკრიტიკებთ. საქართველოს ხელისუფლების შეფასებისას ბრიტანული გამოცემა „ეკონომისტი“ წერს, რომ ბიძინა ივანიშვილის მმართველობის პერიოდში საქართველო რეგრესს განიცდის. არც დასავლური პრესის კრიტიკას იზიარებთ?**

— საზოგადოება და მათ შორის — პრესაც ჭრელია, ზოგი რეგრესს ხედავს და ზოგიც პროგრესს. გააჩნია, წყლიან ჭიქას როგორ აღვიქვამთ, როგორც ნახევრადცარიელს თუ როგორც ნახევრადსავსეს. ნამდვილად არ მესმის, რომელ რეგრესზეა საუბარი ან რა დაგვიტოვეს ნაციონალებმა პროგრესირებადი, რომ ჩვენ არათუ სტაგნაციას განვიცდით, თურმე რეგრესისკენ მივდივართ?! ნაციონალურმა მოძრაობამ აბსოლუტურად ყველა სფერო განადგურებულ-გაპარტახებული დაგვიტოვა. ისინი საქართველოს, როგორც შემდგარ სახელმწიფოს კი არ აღიქვამდნენ, ქვეყანა აგიას თავლად მიაჩნდათ. ერთი იდიოტური რეკლამა რომ აქვთ, „ქართული ოცნება“ დაპირებებს არ ასრულებსო, ნახეთ, სამთავრობო პროექტის ფარგლებში, 40-მდე ახალი საწარმოს შექმნა დაფინანსდა!

**— მიუხედავად ამისა, ნაციონალური მოძრაობა უახლოეს მომავალში ხელისუფლებაში დაბრუნებაზე საკმაოდ თავდაჯერებული საუბრობს, ექსპერტები კი ნაციონალების რეაბილიტაციას კოალიციის „დამსახურებად მიიჩნევენ...**

— ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური რეაბილიტირება — ზღაპარია. როგორ შეიძლება რეაბილიტირდეს ძალა, რომელსაც სათავეში კვლავ სააკაშვილი, მერაბიშვილი და „ძმანი მათნი“ უდგანან?! პირიქით, ნაციონალურ მოძრაობაში შიდადუღილის პერიოდია: სააკაშვილი უკვე ღიად ცდილობს მერაბიშვილ-ახალაიებისგან დისტანცირებას, პარტიის წევრები კი, პირიქით, ბელადს ღიად ემიჯნებიან. დააკვირდით — ბაქრაძის წინასაარჩევნო შეხვედრებზე სააკაშვილს არავინ ახსენებს. ნაცმოძრაობაშიც ამჟამად ორხელისუფლებიანობაა, იდეური მამა, სააკაშვილი ძალების შენარჩუნებას ცდილობს, უფრო ახალგაზრდა, მაგრამ არანაკლებ ვერაგი ფრთა, საყვარელიძე-ვაშაძე-ბაქრაძე სააკაშვილის გარეშე მოქმედებას ამჯობინებს. ასე რომ, ვითომ რებრენდირებული ნაციონალური მოძრაობა ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს მაგონებს. ხალხი კი, ცოცხების ეპოქას აღარასოდეს დაუბრუნდება. ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც უნდა იხტუნოს და ერთიანობა ამტკიცოს, საბოლოოდ, მაინც დაიშლება.

**— მინისტრების რადიკალურად განსხვავებული განცხადებების ფონზე, ნათლად ჩანს, რომ ერთიანობის პრობლემა კოალიციაშიც არსებობს, რაც, სავარაუდოდ, პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ უფრო გამწვავდება. თქვენ როგორ აფასებთ ამ რისკებს?**

— ბატონი ბიძინა, კლასიკური გაგებით, პოლიტიკოსი არ არის, იგი მრავალწახნაგოვანი პიროვნებაა და, მთავრობაში იქნება თუ სამოქალაქო სექტორში, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ სახელმწიფოებრივად იაზროვნებს. ბატონმა ბიძინამ უკეთ იცის, სად გამოადგება თავის ხალხსა და ქვეყანას, რომელიც, მერწმუნეთ, მისთვის პირველ ადგილზეა. კოალიციის დაშლაზე კი ნაციონალები ოცნებობენ, არადა ერთიანობა რომ არ იყოს, როგორც მინიმუმ, პარლამენტში ამდენი კანონი ვერ გავიდოდა. რა თქმა უნდა, ნაციონალებივით, ერთ ხმაში მომღერალი გუნდი არ ვართ — ხმათა სიმბიოზით ვმოქმედებთ. კოალიციაში მონური ფსიქოლოგია არავის აქვს და ყველაფერზე ასკილივით თავის დაკვრის ნაცვლად, ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ.

**— გუნდში ნაციონალების აგენტების ყოფნასაც უარყოფთ?**

— დრო ყველაფერს გვიჩვენებს, მათ შორის მტყუან-მართალსაც. ნათქვამია, მქმნელმა ერთი ცოდვა ჩაიდინა და დამბრალებელმა ათასიო. ასე რომ, უმჯობესი იქნება, თუ მოვლენების განვითარებას დაველოდებით. არსებობს უდანაშაულობის პრეზუმციაც და, როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი, იურიდიულად განვმარტავ: ყველას აქვს უფლება, მიიჩნეოდეს უდანაშაულოდ, სანამ მისი დანაშაული კანონით დადგენილი წესით არ დადგინდება.

**— თქვენს მიმართაც საკმაოდ არსებობს ბრალდებები. კერძოდ, ითქვა, რომ ბიზნესს ლობირებთ და სამტრედიის ავტოსადგურში წილებიც გაქვთ.**

— მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება პოლიტიკაში ბიზნესინტერესებსა და მსგავს მავნე ელემენტებს ვებრძოდი. ვინც სერგო ორჯონიკიძის ძმის, პაპულია ორჯონიკიძის მსგავსად, ცილისწამებითაა დაკავებული, მინდა კიდევ ერთხელ, უკვე 41 ათას 41-ჯერ ვუთხრა: ბატონებო და ქალბატონებო, წავიდა ის დრო, როცა შუაღამის 4-5 საათზე ბიზნესმენებს პროკურატურასა და შემდეგ პირდაპირ ნოტარიუსთა ბიუროში მიარბენინებდნენ. თუ ერთი კაცი მაინც რაიმე დამამტკიცებელ საბუთს მოიტანს ან ფაქტს დაასახელებს, რომ საეჭვო საქმეში გარეული ვარ ან ვინმეს ვლობირებ, დეპუტატის მანდატზე მაშინვე უარს ვიტყვი. მსგავსი ჭორების ავტორებს 5 თვეს ვაძლევ ვადას, ავტოსადგურში ჩემი წილები მოჩიჩქნონ. სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ ვიცი, ეს ავტოსადგური სად მდებარეობს. მსგავს საუბრებს, აჯობებს, სამტრედიაში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომელსაც ძირითადად, ნაციონალები წარმოადგენენ, მოსახლეობაზე იზრუნონ. სტალინგრადი არ ყოფილა ომის დროს ისეთ მდგომარეობაში, რაშიც წლების მანძილზე სამტრედიაა. სამტრედიას მიხედეთ, ბატონებო!

**— ითქვა ისიც, რომ სამტრედიის რაიონში თანამდებობებზე მხოლოდ თქვენი თანხმობით ინიშნებიან. ამ ბრალდებასაც უარყოფთ?**

— ჩემზე ჭორებს მასობრივად ავრცელებენ. ერთი გაავრცელეს, თუმცა სიმართლე არ გამოდგა, იმის იმედი აქვთ, რომ მორიგ ჭორებს საზოგადოება აიტაცებს, მაგრამ ისევ მინდა ამ ადამიანებს მივმართო: ნაციონალებო, თქვენ ნორმალური ადამიანი არ დაგიჯერებთ, არადა ჭორიკანა, არშემდგარი არსებებისთვის ნამდვილად არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ აქლემი არ ვარ, თან ორკუზიანი. ჩემი სუბიექტური აზრით, ამ თავდასხმებისა და ჭორების მიზეზი მხოლოდ ერთია — არ მაქვს სურვილი, წარსულის მავნე გადმონაშთებთან კოჰაბიტაციაში ვიყო. ნაციონალებთან კოჰაბიტაციაში არც არასდროს ვყოფილვარ და არც მომავალში ვიქნები.

## ვერსიანიუსი

### ხობის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს



შსს 12 ოქტომბერს, ხობის რაიონის სოფელ ხორგაში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ:

**„სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ყაჩაღობისთვის ძებნილი თეიმურაზ ოკუჯავას აყვანის ოპერაცია ჩაატარეს.**

**ოპერაციის მსვლელობისას, ორი ავტომატითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულმა ოკუჯავამ წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომლებს. ორმხრივი სროლისას, თეიმურაზ ოკუჯავას ლიკვიდაცია მოხდა.**

**სროლის შედეგად დაიღუპა სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი დავით დემურია, ასევე დაჭრილია პოლიციის ოთხი თანამშრომელი. ამ დროისთვის, ოთხივე მათგანი ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოშია გადაყვანილი. ისინი ხელყუმბარის ნამსხვრევებით მსუბუქად არიან დაჭრილები, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

**თეიმურაზ ოკუჯავა 2013 წლის 3 აგვისტოდან ყაჩაღობის ბრალდებით იძებნებოდა. ის, თანამზრახველებთან ერთად, 1 ოქტომბერს ხობის რაიონის სოფელ თორსაში, საკუთარი ნათესავების — ქარჩავების ოჯახს თავს დაესხა. ყაჩაღური თავდასხმის შედეგად, ოჯახის უფროსი დაიღუპა. დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი სამართალდამცველებმა რამდენიმე დღის წინ დააკავეს, ხოლო მეორე ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება“.**

სოფელ ხორგაში დაჭრილი სპეცრაზმელები 12 ოქტომბერსვე, გვიან ღამით, თბილისში გადმოიყვანეს. საავადმყოფოს დირექტორის განმარტებით, პაციენტების მდგომარეობა სტაბილურია. ერთ-ერთ მათგანს ოპერაცია 13 ოქტომბერს ჩაუტარდა. სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები ხელყუმბარის ნამსხვრევებით მსუბუქად არიან დაჭრილები. სპეცოპერაციის დღესვე, ხობში ჩაფრინდა საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც შემთხვევის ადგილიცა და დაჭრილებიც მოინახულა.

*„ვერსიანიუსი“*

### გიორგი მარგველაშვილი, პრეზიდენტობის შემთხვევაში, გუბერნატორების მოხსნას გეგმავს

როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა ქუთაისში, მხარდამჭერებთან შეხვედრაზე განაცხადა, პრეზიდენტის რწმუნებულები კრიმინალები არიან და მათ თავიანთი კუთხეებისთვის არაფერი გაუკეთებიათ.

**„როგორც კი პრეზიდენტი გავხდები, მოვხსნი კრიმინალ გუბერნატორებს, რომლებიც ამ წლების განმავლობაში ხალხს ძარცვავდნენ და მათთვის დადებითი არაფერი გაუკეთებიათ. როგორც კი ჩემი პრეზიდენტად არჩევა და ინაუგურაცია მოხდება, მეორე დღესვე შეიცვლებიან ხალხის გამომძალველები და მათ ადგილს ის ადამიანები დაიკავებენ, რომელთაც რეალურად სურთ, საქმე აკეთონ“,** — განაცხადა მარგველაშვილმა.

*„პირველი“*

# გია ყარყარაშვილი: „გიორგი მარგველაშვილი იქნება სახალხო პრეზიდენტი!“



კახა მაისურაძე

**საპრეზიდენტო არჩევნები, ცოტაც და, კულმინაციას მიაღწევს. ბოლო ხანებში საარჩევნო მარათონში ჩართული კანდიდატების საპრეზიდენტო შანსები არ შეცვლილა. ყველა სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს, თანაც იმდენად დამაჯერებლად, რომ იგი პირველსავე ტურში გაიმარჯვებს. ნინო ბურჯანაძესა და დავით ბაქრაძეს ნუგეშად ისღა დარჩებათ, მეორე-მესამე საპატიო ადგილები გაიყონ. არჩევნებამდე დარჩენილ 2 კვირაში, პრაქტიკულად, გამორიცხულია, ამ მხრივ რაიმე შეიცვალოს. მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებისა და საპრეზიდენტო კანდიდატების შანსებზე ყოფილი პარლამენტარი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ვეტერანთა სამოქალაქო კავშირის „საქართველოს ლეგიონის“ ხელმძღვანელი გია ყარყარაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო გია, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო გარემოს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდს რომ შევადაროთ, რამდენად თვალშისაცემია განსხვავება?**

— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს ამ არჩევნებს ვერ შევადარებ. განსხვავება იმდენად დიდი, თვალშისაცემია, რომ ყველა განმასხვავებელი ნიშნის ჩამოთვლა გამიჭირდება კიდეც. მხოლოდ მთავარს ვიტყვი — ბოლო 20 წლის განმავლობაში, არც ერთი არჩევნები არ ჩატარებულა ასე მშვიდ, დემოკრატიულ გარემოში.

**უჩვეულო სიმშვიდე სუფევს და ეს დადებითად აისახება მოსახლეობის განწყობაზე. აღარ არის ისტერიული გარემო, კომპრომატებისა და „კომპრომატების“ ომი, ცილისწამების ნიაღვარი პრესითა თუ ტელევიზიით კონკურენტებს შორის. საპრეზიდენტო კანდიდატები ერთმანეთს აღიქვამენ მხოლოდ როგორც პოლიტიკურ კონკურენტებს და არა როგორც მტრებს. აი, ეს არის ამ არჩევნების ყველაზე დიდი მიღწევა, რაც სახელისუფლებო კანდიდატის დამსახურებაა.**

ერთი მხრივ, ცხადია, ეს სიმშვიდე, ეს სუფთა პოლიტიკური თამაში წესების დაცვით, დიდწილად, თავად ხელისუფლების დამსახურებაა, ამ საქმეში სოლიდური წვლილი იმ ხალხსაც მიუძღვის, ვინც სახელისუფლებო კანდიდატის საარჩევნო კამპანიაშია ჩართული, თუმცა აქ უმნიშვნელოვანესია თავად გიორგი მარგველაშვილის, როგორც პოლიტიკოსისა და პიროვნების ფაქტორი. გიორგი ძალიან კორექტულად წარმართავს საარჩევნო კამპანიას, არავის ესხმის თავს, კონკურენტებს ზემოდან არ დაჰყურებს, ქედმაღალი არ არის. ეს ყველაფერი ადრე, მუდმივად ახასიათებდა სახელისუფლებო საპრეზიდენტო კანდიდატებს, ეს ჩვენში დამკვიდრებული სენი იყო და პირველი შემთხვევაა, ეს ავადმყოფობა სახელისუფლებო კანდიდატს რომ არ სჭირს.

**უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიაში არ შეინიშნება რევანშიზმის ნიშნები. ეს სერიოზული გზავნილია მოსახლეობისთვის და იმის დასტურიც, რომ გიორგი იქნება იმ ხალხის პრეზიდენტი, იმ ხალხის უფლებებისა და ინტერესების დამცველი, რომელიც, შესაძლოა, ერთგვარი შიშით უყურებს მის გაპრეზიდენტებას.**

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ გიორგი სახელისუფლებო რესურსს საერთოდ არ იყენებს, საპირისპირო ერთი ფაქტიც კი არ არსებობს. ესეც სიახლე, პირველი შემთხვევაა, ბოლო 20 წლის განმავლობაში, ჩვენში გამართულ არჩევნებში.

**— შეიძლება იმის თქმა, რომ „ქართული ოცნების“ მიერ საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილის დასახელებამ, ქვეყანაში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა, თუ არ შეაჩერა და მის გაღრმავებას ხელი შეუშალა?**

— კი, ეს უდავო ფაქტია. ამ საპრეზიდენტო არჩევნებში ძალიან ბევრი ადამიანი იყრის კენჭს, მგონი, აღარ დარჩა საზოგადოებაში ინტერეს-ჯგუფი, საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავდეს. ყველა კანდიდატს აქვს თანაბარი შანსი, აწარმოოს საარჩევნო კამპანია, მშვიდ გარემოში, ხელის შეშლის გარეშე წარმოაჩინოს საკუთარი ღირსება. ვიმეორებ, დღეს საპრეზიდენტო კანდიდატები ერთმანეთს ისე არ ექცევიან, როგორც მტერს, როგორც კონკურენტს ისე აღიქვამენ და ურთიერთ მოპყრობაც შესაბამისი აქვთ. ამას კი გიორგი მარგველაშვილმა დაუდო სათავე. როგორც სახელისუფლებო კანდიდატმა, ეს ცივილიზებული თამაშის წესები მან დააწესა.

**— ყველა კვლევის თანახმად, საპრეზიდენტო მარათონში დიდი ხანია სამი ლიდერი გამოიკვეთა — გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე. რას იტყვით მათ შანსებზე?**

— მარათონში ყოველთვის არის ერთი გამოკვეთილი საპრეზიდენტო კანდიდატი. ამჯერად, ასეთი გიორგი მარგველაშვილია. „ქართული ოცნების“ შარშანდელი გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში, გიორგისთვის ერთგვარი სასტარტო უპირატესობაა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია და მის მომავალ წარმატებაზეც აისახება. მეორე ფაქტორი, რომელიც, ჩემი აზრით, გიორგის წარმატებას უზრუნველყოფს, მისი პიროვნული თვისებებია. გიორგი იმდენად დადებითი პიროვნებაა, რომ ყოველი ჩვენგანისთვის მისაღებია. ვფიქრობ, გიორგი მარგველაშვილი ამ არჩევნების ფავორიტია და მის გამარჯვებასაც ვვარაუდობ.

**— თქვენი აზრით, პირველსავე ტურში გაიმარჯვებს გიორგი მარგველაშვილი?**

— დიდი იმედი მაქვს, რომ პირველსავე ტურში მოიგებს არჩევნებს. ამის მოლოდინიც მაქვს... ხალხის განწყობაც ჩემს ვარაუდს ამყარებს.

**— წეღან გიორგი მარგველაშვილის პიროვნული თვისებები ახსენეთ. კონკრეტულად, რას გულისხმობდით?**

— მის კაცთმოყვარე ბუნებას, თავმდაბლობას, სულგრძელობას... თავდაჯერებული და საკუთარ თავში დარწმუნებულია. რა ვიცი, გიორგის ძალიან ბევრი დადებითი თვისება აქვს — დიდბუნებოვანი ადამიანია. ხალხთან ურთიერთობაში უბრალოა, უშუალო და საკუთარი თავის სხვაზე წინ დაყენება არ სჩვევია. მისი ამ თვისებების დამსახურებაა, რომ ეს საარჩევნო ციკლი ასეთი მშვიდია.

**— ძალაუფლება ბევრს აფუჭებს, საქართველოში ამის უამრავი მაგალითი ორივემ კარგად ვიცით. გაპრეზიდენტების შემთხვევაში, შეძლებს გიორგი მარგველაშვილი, გაუძლოს ძალაუფლებით მინიჭებულ უამრავ საცდუნებელს?**

— კი, მისი განათლების მინისტრობის პერიოდი შეგვიძლია იმის მაგალითად ავიღოთ, რომ გიორგი მარგველაშვილს ძალაუფლება უარყოფითად არ შეცვლის, თანამდებობაზე ყოფნის 8-9 თვე საკმარისი იყო ამის დამადასტურებლად.

**ძალაუფლების მოპოვების სურვილი, კარიერისკენ ლტოლვა მასში არასოდეს ყოფილა, არავის ამგვარი რამ მისთვის არ შეუნიშნავს. ისიც ვთქვათ, რომ გიორგისთვის პოლიტიკა უცხო ხილი არ არის, მუდამ მის შუაგულში ტრიალებდა ანდა, იყო კიდეც პოლიტიკაში. ეს ძალაუფლება ხელის ერთ გაწვდენაზეც კი ჰქონია, მაგრამ მისი მოხვეჭა არასდროს უცდია. მაღალი განათლებისა და მაღალი კულტურის ადამიანს ძალაუფლება ვერასდროს მოერევა, ვერ გააფუჭებს. გიორგი კი სწორედ ასეთი ადამიანია.**

**— განათლების მინისტრობისას, გიორგი მარგველაშვილს ორ წარმატებულ რეფორმას უხსენებენ. ორივე სოციალურად უმნიშვნელოვანესი იყო — უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების დარიგება მოსწავლეებისთვის და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში უფასო ფაკულტეტების გახსნა. ცხადია, ორივე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესებს ემსახურებოდა. მინისტრობის დროს გადადგმული მისი ეს ნაბიჯები ბევრს აიმედებს, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც ასეთივე, ხალხის ინტერესების გამომხატველი და დამცველი იქნება.**

— ვინც ასე ფიქრობს, ნამდვილად არ ცდება. ცხადია, რაც განათლების მინისტრობისას გააკეთა, ეს მცირედია, მაგრამ მან მოკლე დროში მოასწრო ეს. ისეთებიც ბევრი გვახსოვს, წლები უმუშავიათ მინისტრად და ერთი დადებითი არ გაუკეთებიათ საკუთარი სფეროსთვის, სისტემისთვის.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ პირველად მოდის სახალხო პრეზიდენტი, ხალხის პრეზიდენტი. მოდის მაღალი ნდობით, უბრალოებით, სუფთა წარსულით... დარწმუნებული ვარ, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, გიორგი მარგველაშვილი იქნება, უპირველესად, გაჭირვებულთა და დაჩაგრულთა ქომაგი, ხალხზე მზრუნველი და სახალხო პრეზიდენტი.



## ვერსიანიუსი

### მინდელის მაღაროში ჭერის ჩამონგრევის შედეგად, ერთი ადამიანი გარდაიცვალა



მაღაროში მიკროდარტყმის შედეგად, ჭერი ჩამოინგრა და მე-6 სანგრევის მუშა ლევან მეფარიძე გარდაიცვალა. როგორც „პირველის“ ადგილობრივ კორესპონდენტს შპს „საქნახშირ GIG“-ის გენერალურმა დირექტორმა ვალერი კუხალაშვილმა განუცხადა, შემთხვევა გამთენიისას მოხდა, სამაშველო სამსახურმა დაშავებულის ნანგრევებიდან გამოყვანა მალევე მოახერხა, თუმცა ის საავადმყოფოში გადაყვანამდე გარდაიცვალა.

**„შუაღამისას, მინდელის სახელობის მაღაროში უბედური შემთხვევა მოხდა. დაგვეღუპა 1980 წელს დაბადებული თანამშრომელი. მიუხედავად იმისა, რომ სამაშველო სამსახურმა მისი გამოყვანა მალე მოახერხა, გადარჩენა ვერ შევძელით“,** — განაცხადა კუხალაშვილმა.

*„პირველი“*

# ვინ ეწინააღმდეგება ხუდონჰესის მშენებლობას?

## რა სკანდალური ფოტოები გადასცა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ექსკლუზიურად „ვერსიას“?





მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ „ვერსიას“ ექსკლუზიურად გადასცა სკანდალური ფოტოები, სადაც ნათლად ჩანს მიზეზი, რის გამოც 80-მდე ხაიშელი ხუდონჰესის პროექტის მშენებლობას არ დაუშვებს. ამ ადამიანებმა ხატზე დაიფიცეს, მაგრამ სახელმწიფო არ დაუშვებს პრეცედენტს, რომ ხატზე დაფიცების გამო, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად ეფექტური პროექტი შეაჩეროს! ფოტოკოლაჟზე, რომელსაც „ვერსია“ გთავაზობთ, აშკარად ჩანს, რომ ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ხუდონჰესი უნდა აშენდეს, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს სამხერხაო აქვს მოწყობილი. ხე-ტყის ნარჩენები კი, არც მეტი — არც ნაკლები, პირდაპირ მდინარეში ჩაედინება და გარემო ბინძურდება. საინტერესოა, რატომ დუმს ამ ფაქტებზე გარემოს დაცვის სამინისტრო და არასამთავრობო ორგანიზაციები? მეტიც, ენერგეტიკის მინისტრის გარდა, რატომ არავინ გაახმაურა ეს სკანდალური ფაქტი? რატომ უნდა ვიგებდეთ ამ ამბავს კახა კალაძისგან და არა გარემოს დაცვის მინისტრის, ხათუნა გოგალაძისგან? „ვერსიას“ ენერგეტიკის მინისტრი, კახა კალაძე ესაუბრება.**

— სამწუხაროდ, ხაიშში ადამიანების გარკვეული ჯგუფია, რომელიც უკანონო ბიზნესითაა დაკავებული. მხედველობაში მაქვს ხე-ტყის უკანონო ჭრა, რის გამოც მთელი სვანეთი განადგურდა. ადამიანების ამ ჯგუფმა, დაახლოებით, 80 კაცზეა საუბარი, ხატზე დაიფიცა, რომ ხუდონჰესის პროექტს შეეწინააღმდეგებიან, რაც სახელმწიფოსთვის კატეგორიულად მიუღებელია. არ უნდა დავუშვათ პრეცედენტი, რომ ადამიანების ერთი ჯგუფი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან პროექტს წინ ეღობებოდეს, რადგან ხვალ, შესაძლოა, ვიღაცამ გაიღვიძოს და ყურანზე ან ხატზე დაიფიცოს, რომ მაგალითად, გზის მშენებლობას არ დაუშვებს! როგორც გითხარით, ასეთ პრეცედენტს არ დავუშვებთ, რადგან პრეტენზია გვაქვს, რომ შემდგარი, თანამედროვე სახელმწიფო ვართ და დარწმუნებული ვარ, ამ ფაქტს ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებისთვისაც ევროპული ღირებულებები პრიორიტეტულია, აუცილებლად შეეწინააღმდეგებიან. გვესმის მათი მდგომარეობა, მძიმე და რთულია ეს ყველაფერი, მაგრამ ვაპირებთ, თითოეულ მოსახლეს ავუხსნათ, რომ ხუდონჰესი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და სარგებლის მომტანი პროექტია!

**— ბატონო კახა, ეს ფოტოები, სადაც მდინარე ხე-ტყის მასალის ნარჩენებითაა დანაგვიანებული, გარემოს დაცვის სამინისტროში ნანახი აქვთ, თქვენმა კოლეგა მინისტრმა ამის შესახებ იცის?**

— არ ვიცი, მაგრამ, წესით, უნდა იცოდეს! არასამთავრობო ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი „მწვანე ალტერნატივა“, რომელიც ყველაზე ბევრს ყვირის, ბევრჯერაა ნამყოფი ადგილზე და საინტერესოა, ერთხელ მაინც რატომ არ გააკეთა განცხადება? რა ხდება, ეს ხომ პირდაპირ მათ საქმიანობას ეხება?! სამწუხაროდ, „მწვანე ალტერნატივა“ და, ზოგადად, გარემოს დამცველები, გარემოს დაცვის გარდა, ყველაფერს აკეთებენ! რაც მთავარია, ჰიდროელექტროსადგურებიდან გამომუშავებული ენერგია ყველაზე სუფთა, „მწვანე“ ენერგიაა და სწორედ ამას ეწინააღმდეგებიან. ბევრი კითხვა ჩნდება, რატომ არ სურთ ხუდონჰესის პროექტის განხორციელება და არა მარტო ამ პროექტის. ისინი ნებისმიერი ჰესის მშენებლობას ეწინააღმდეგებიან, მნიშვნელობა არ აქვს, 6-მეგავატიანი, მცირე ჰესი იქნება, თუ 700 მეგავატიანი სიმძლავრის, დიდი ჰესი.

„ვერსია“ შეეცადა ამ საკითხზე ინფორმაცია მოეპოვებინა და როგორც გავარკვიეთ,

**წყაროს დაუზუსტებელი ინფორმაციით, მესტიის შემოგარენსა და ხაიშში, დაახლოებით, 20-მდე უკანონო სამხერხაოა მოწყობილი, მათგან კი ლიცენზია მხოლოდ სამს შეიძლება ჰქონდეს. არაოფიციალური ინფორმაციით, ხე-ტყის უკანონო ბიზნესს საქართველოში ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი ლობირებდა, თუმცა ამ ბიზნესში არც კახა ბენდუქიძის ინტერესებს გამორიცხავდნენ, რის გამოც მერაბიშვილისა და ბენდუქიძის ბიზნესინტერესები გადაიკვეთა. რამდენიმე წლის წინ, ამ ფაქტის გამო მაშინდელ ხელისუფლებაში აშკარა უთანხმოებაც იყო. „ვერსიის“ წყარო აცხადებს, რომ ეს საკითხი გამოძიების პრეროგატივაა და სიმართლის დადგენა სამართალდამცავი უწყებების კომპეტენციაში შედის, რადგან აშკარა კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე.**

ამ ფაქტებზე კი კონკრეტული უწყებების წარმომადგენლებმა პასუხი უნდა აგონ. არ შეიძლება და დაუშვებელია, გარკვეული ჯგუფის ვიწრო ეკონომიკურ ინტერესს, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ისეთი პროექტი შეეწიროს, როგორიც ხუდონჰესია. სპეციალისტების, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დასკვნების მიხედვით, გარემოზე ხუდონჰესის ზემოქმედების მექანიზმი საკმაოდ მცირეა. სამაგიეროდ, ხაიშში არსებული ხე-ტყის უკანონო სამხერხაოების მფლობელებს აშკარად არ აწყობთ ჰესის მშენებლობა. რა თქმა უნდა, თუ ხუდონჰესი აშენდება, მათი სამხერხაო აუცილებლად გაუქმდება და ისინი შემოსავლებს დაკარგავენ. ესაა მიზეზი, რის გამოც ამ ჯგუფს პროექტის განხორციელება არ სურს, თორემ კახა კალაძემ „ვერსიასთან“ ინტერვიუში უკვე განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკის რეგულაციების მიხედვით, სახელმწიფო მზადაა, თითოეულ მოსახლესთან ინდივიდუალური მოლაპარაკება აწარმოოს და საკმაოდ სოლიდური კომპენსაციაც გადაუხადოს. მეტიც, კახა კალაძემ „ვერსიას“ სრული პასუხისმგებლობით განუცხადა, რომ ხუდონჰესის აშენებას ეკლესიებისა და სასაფლაოების ჩაძირვა ნამდვილად არ მოჰყვება.

*დასასრული მე-7 გვერდზე*





# ბურჯანაძე „შეფიცულების“ მობილ-ჯგუფებს აღადგენს და 24 ოქტომბერს, „ლოკომოტივზე“, აქციას ჩაატარებს!



**მოსალოდნელია თუ არა არჩევნების შემდგომ ქუჩის აქციები და დესტაბილიზაცია?!**

კახა არჩვაძე
577-218-808

**საპრეზიდენტო არჩევნებამდე არცთუ ცოტა დროა დარჩენილი. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ზოგიერთი 27 ოქტომბრისთვის ემზადება, ზოგიც არჩევნების შემდგომი პროტესტისა და ვერტიკალზე გავლენისთვის. ასეთთა შორის დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძეც სახელდება, რომელიც არჩევნებამდე არსებული რეიტინგებით, გამარჯვებული პირველი ორეულის თამაშგარე რჩება, ამიტომაც, გავრცელებული ინფორმაციით, რასაც თავადაც თითქმის ყველა საჯარო გამოსვლაში ადასტურებს, საკუთარი ხმების დაცვისა და არჩევნების შედეგების პროტესტის გამოსახატად ქუჩის აქციებსაც გეგმავს.**

სხვათა შორის, პარტიის კულუარებიდან გამოსული ინფორმაციით, ბურჯანაძის პარტიის შიგნით, პარტიის პიარტექნოლოგის ვაკა გორგილაძის მიერ ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვამაც ვერ აჩვენა ლიდერის სასურველი შედეგი — ეს შიდამოხმარების ინფორმაციაა და ღიად ამას არ აღიარებენ.

**იმასაც ამბობენ, რომ ნინო ბურჯანაძემ წინასაარჩევნოდ უკვე შეუკვეთია 5000 საწვიმარი და 1000 ცალი ქოლგა, ხოლო 24 ოქტომბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე აპირებს მხარდამჭერებთან შეკრებასა და ძალის დემონსტრირებას. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ნინო ბურჯანაძე სასურველ შედეგს ვერ მიიღებს, პოლიტისტებლიშმენტის ნაწილი მისი მხრიდან ქუჩის აქციების დაწყებას ელოდება.**

პარტიის ლიდერი თითქმის ყველა სატელევიზიო ეთერსა თუ ინტერვიუში უკვე ღიად მიანიშნებს, რომ ხელისუფლება ემზადება არჩევნების გაყალბებისთვის და რომ ივანიშვილის ხელისუფლებას მისი ეშინია. რა აქვს ჩაფიქრებული შემდგომ, აქციები, პროტესტი თუ კიდევ სხვა, ამას დრო ყველაზე ზუსტად გვიჩვენებს, თუმცა ინფორმაციები მოსალოდნელი ქუჩის აქციების შესახებ პარტიიდან ჟონავს. ქუჩაში გამოსვლა, პარტიის შიდაინფორმაციით, ხმების დაცვის მოტივით დაიწყება, თუმცა პარტიული მობილ-ჯგუფების კონტროლიდან გასვლა რომ მოხდეს, მაშინ ალბათობით, დაახლოებით, ისეთივე უმართავი სცენარი განმეორდება, როგორც 26 მაისს ან „პარტიზანოს“ ცნობილი აქციების დროს ტელევიზიასთან.

**„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, უკვე მიმდინარეობს საყოველთაო მობილიზაცია ადრე არსებული მობილ-ჯგუფების აღსადგენად. მეტიც, „შეფიცულების“ მსგავსი ჯგუფების რეინკარნაციის პარალელურად, პარტიაში თბილისის პარტიული რაიონული ორგანიზაციის თავკაცებისა და სამეურნეო სამსახურის უფროსისა და ყოფილი პოლტიპატიმრის გოჩა წიკლაურის მიერ მოწონებული ყოფილა იდეა, რაციების შესაძენად, რათა პარტიის წევრებს შორის კოორდინაცია გაიოლდეს და უბნებზე სასწრაფო მობილიზაციას შეუწყოს ხელიო.**

საკითხავია, რა იგეგმება უბნებზე, ბურჯანაძის უსაფრთხოების დასაცავად წინასაარჩევნო შეხვედრებისთვის შექმნილი მობილური ჯგუფები არც ახლა ერიდებიან დებოშსა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლას. ამის დასტურია 23 სექტემბერს, საბურთალოს რაიონში, გელოვანის სკვერში მომხდარი ფაქტი, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატის ხალხთან შეხვედრისას, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელის“ წევრებმა ბურჯანაძის ოჯახის კორუმპირებული წარსული გააპროტესტეს, „მობილური ჯგუფის“ წევრებმა მათ პლაკატები დაუხიეს და ცემით გაიყვანეს ტერიტორიიდან.

სხვათა შორის, ნაცმოძრაობის გენმდივანი ივანე მერაბიშვილი ციხიდან ავრცელებს ინფორმაციას, რომ 28 ოქტომბერს, დამარცხების შემთხვევაში, ნინო ბურჯანაძე, რუსების დაკვეთით, დესტაბილიზაციას გეგმავს. ამის საპასუხო კომენტარში ბაკურ ბაკურაძე მერაბიშვილს მკურნალობას ურჩევს. თუმცა, აქვე მერაბიშვილი არ ადასტურებს ფაქტს, რომელსაც ნინო ბურჯანაძე წინასაარჩევნო პერიოდში მუდმივად იმეორებს, მისი და ანზორ ბურჯანაძის ფარული სატელეფონო საუბრების სიყალბედ წარმოსაჩენად. იგი აცხადებს, რომ ეს ფაქტი თურმე საакაშვილმა და მერაბიშვილმა თავადვე აღიარეს. მერაბიშვილი კი ციხიდან ამტკიცებს, რომ არაფერი დამონტაჟებული არ არის, ბურჯანაძე დასაჭერი იყო, მაგრამ ოპოზიციური ლიდერის დაპატიმრებისგან თავი შევიკავეთ, რადგან არ გვინდოდა, დესტაბილიზაცია გამოგვეწვიაო. საინტერესოა, რატომ არ ითხოვს პრეზიდენტობის კანდიდატი ჩანაწერის ექსპერტიზას?

ახლახან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას მხარს კანონიერი ქურდებიც დაუჭერენ და ამის დასტურად ანზორ ბიწაძისა და გიგა ბურდულის შეხვედრა მოაქვთ, რომლის შესახებაც ინფორმაცია ერთ-ერთ მედიაგამოცემაში გავრცელდა. ბურდული ტარიელ ფოცხვერიას დაჯგუფების წევრად მიიჩნევა. ქურდებში ე.წ. პრაგონი (ქურდულ სამყაროში მხარდაჭერის შესახებ სიგნალი) მათ სასარგებლოდ უკვე გაშვებულია, მაგრამ, თუ ეს ფაქტი რეალურია, ვინ გაიყვანა ანზორიკო კავშირებზე, ინფორმაცია დეტალურად ასე იშიფრება: ამის შესახებ საცეცები რუსეთში მოღვაწე კანონიერი ქურდის, რევაზ ბუხნიკაშვილის (მეტსახელად „პეწოს“) შვილს, ვლადიმერ (ვოვა) ბუხნიკაშვილს უკავშირდება. ვოვა ბუხნიკაშვილი ანზორიკოს მეგობარია. პრინციპში, მეგობრობაში არც არაფერია დასაძრახი. უბრალოდ, ბუხნიკაშვილი, თავის მხრივ, სხვა ავტორიტეტთან მური ლომიძესთანაა (მეტსახელად „ჯღანა“, ოღონდ არა მოჭიდავეების წრიდან) კავშირზე. თუმცა ეს მხოლოდ პოლიტიკურ კულუარებში გავრცელებული ინფორმაციებია. ვინ შეუერთდება ნინო ბურჯანაძის აქციას, თუ, რა თქმა უნდა, არჩევნებში მან სასურველი შედეგი ვერ მიიღო, ამის პროგნოზირება რთულია. ჯერჯერობით, მზადყოფნა გამოთქვა კახა კუკავამ, რომელმაც განაცხადა, რომ ყველა პოლიტიკური ძალა და ლიდერი ვალდებულია, პარტნიორის გაყალბებული ხმები დაიცვას.

**ქუჩის აქციებთან დაკავშირებით, პარტიის საორგანიზაციო მდივანს, ბატონ ზაზა სოფრომაძეს თავისი მოსაზრება აქვს:** „ეს მცდარი ვერსიაა და ვიღაცას აწყობს, რომ გაავრცელოს ასე. კი, ვაპირებთ 24 ოქტომბერს აქციის გამართვას „ლოკომოტივზე“, მაგრამ ეს აქცია იქნება ყველა პარტიის აქციაზე უფრო მასშტაბური და ცოტა სხვა ფორმით. რაც შეეხება თქვენს კითხვას, მოსალოდნელი აქციების თაობაზე, ჯერ ქუჩის აქციებზე საუბარინაადრევია და არ ყოფილა ჩვენი მხრიდან. თუ არჩევნები გაყალბდება, ყველა კანონიერი საშუალებით ვეცდებით ჩვენი ხმების დაცვას, მათ შორის — აქციებითაც, თუმცა კიდევ ერთხელ გიმეორებთ, არავითარი დესტაბილიზაცია არ იგეგმება. რაც შეეხება მობილ-ჯგუფებს, ეს ჩვეულებრივად, ჩვენი პარტიის მუშაობის შემადგენელი ნაწილია და ,,რაციების“ ყიდვაზე არაფერი მსმენია.

**„ვერსია“ აღნიშნული საკითხების დასაზუსტებლად ნინო ბურჯანაძის პრესსამსახურის უფროსს ბაკურ ბაკურაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც 24 ოქტომბერს „ლოკომოტივზე“ დაგეგმილი აქცია დაადასტურა, თუმცა ინტერვიუს დეტალებზე სამომავლოდ საუბარი არჩია. რაც შეეხება განცხადებას იმის შესახებ, რომ არასასურველი შედეგის შემთხვევაში, ნინო ბურჯანაძე აპირებს ქუჩის აქციებს და მოსალოდნელია დესტაბილიზაცია, ასევე კანონიერ ქურდებთან ანზორიკო ბიწაძის კავშირებსა და ა.შ., ბაკურ ბაკურაძე აცხადებს: **„ეს მერაბიშვილის ბოდვებია. მაგათი დრო დამთავრდა და მაგაზე კომენტარი არც ღირს. ახლა 4 შეხვედრა მაქვს გვიანობამდე და შეხვედრაზე შევდივარ, მაპატიეთ!“**

ექსკლუზიური ვერსია

# ვინ ეწინააღმდეგება ხუდონჰესის მშენებლობას?

*მე-6 გვერდიდან*

„ვერსია“ ამ ფაქტთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის სამინისტროსაც დაუკავშირდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, **ინგა ნიკაგოსიანმა** კითხვების გადაგზავნა მოგვთხოვა. გთავაზობთ „ვერსიის“ კითხვებს:

**— არის თუ არა გარემოს დაცვის სამინისტრო საქმის კურსში, რომ მესტიის შემოგარენსა და სოფელ ხაიშში, კონკრეტულად იმ ტერიტორიაზე, სადაც ხუდონჰესის მშენებლობა უნდა დაიწყოს, მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს სამხერხაოები აქვს მოწყობილი?**

**— „ვერსიის“ ინფორმაციით, დაახლოებით, 20-მდე სამხერხაო არსებობს, მათგან მხოლოდ 3-ია ლიცენზირებული, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია? თქვენი მონაცემებით, სულ რამდენი სამხერხაო არსებობს და რამდენია მათ შორის ლიცენზირებული?**

**— იცის თუ არა გარემოს დაცვის მინისტრმა, რომ ამ სამხერხაოების ნარჩენები, თანაც დიდი რაოდენობით მდინარეში ჩაედინება?**

იმავე დღეს, გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, „ვერსიის“ კითხვებზე ასეთი პასუხი გამოგვიგზავნა:

**„გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მონაცემებით, მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, სულ რეგისტრირებულია 15 მრგვალი მორის გადამამუშავებელი სახერხი საამქრო. დადგენილი წესით, გაუქმებულია 3 სახერხი საამქრო.**

**მოქმედი კანონმდებლობით, სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, 2013 წლის 20 თებერვლიდან, დადგენილი წესით დაარეგისტრიროს სახერხი საამქრო, აწარმოოს სახერხი საამქროს ჟურნალი და 2013 წლის 25 თებერვლიდან, მხოლოდ დადგენილი წესით განახორციელოს ფუნქციონირება, მათ შორის, მხოლოდ მარკირებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღება და გადამუშავება.**

**აკრძალულია სახერხი დანადგარის განთავსება/მონტაჟი და ხე-ტყის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება მდინარის კალაპოტის, ხევის, ან მაგისტრალური სარწყავი არხის კიდიდან, ორივე მხარეს – 50 მეტრის ფარგლებში, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში – 20 მეტრის ფარგლებში.**

**იმ შემთხვევაში, თუ სახერხი საამქროს ტერიტორია შემოღობილია რკინა-ბეტონის ან ბეტონის არანაკლებ 2,5 მეტრისა და მეტი სიმაღლის მყარი კონსტრუქციით, სახერხი საამქროს მფლობელი უფლებამოსილია, გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები ბუნკერის გარეშე შეინახოს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს გამორიცხული ქარის მიერ ნარჩენების შემოღობილი ტერიტორიის გარეთ გადატანა. ამასთან, გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი და დასაწყობებული ნარჩენების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს ღობის კონსტრუქციის სიმაღლეს.**

**სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გაიტანოს ნარჩენები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბუნკერის გადავსებამდე.**



**დეპარტამენტი პერიოდულად ახორციელებს მონიტორინგს ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვებისა და გადამუშავების, ასევე გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით“.**

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროდან, ოფიციალურად მიღებულ ინფორმაციაშიც ჩანს, ის, რაც სოფელ ხაიშში ხდება, აშკარად კანონის დარღვევაა, რაც ფოტომასალითაც დასტურდება. ფაქტია, რომ მდინარის კალაპოტში სახერხი საამქროს ნარჩენები უკანონოდ ჩაედინება, იმედია, გარემოსდამცველები შესაბამის ზომებს მიიღებენ!

# „მერაბიშვილის ბრძანება იყო, თუ არ დავიშლებოდით, ყველას გაგვანადგურებდნენ!“

დავით დევიძე
593-219-042

**ზუსტად ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განმუხურში კუდით ქვა ასროლინა გენერალ ჩაბანსა და მის ჯარისკაცებს. 2006 წლის ოქტომბერში მომხდარი ეს ამბავი ბევრს ახსოვს. ანდა, როგორ არ ემახსოვრება, როცა მიშავიზიები დღედაღამ ერთსა და იმავე კადრებს ატრიალებდნენ: აი, გმირი მიშა თავის მეგობრებთან ერთად ვაჟკაცივით აწვება რუსი ჯარისკაცების კორდონს და აიძულებს, ქართული მიწა დატოვოს. მიშას გმირობის ამბავი მაშინ ბევრმა დაიჯერა, ვინც არ დაიჯერა, იმას დააჯერეს და აი, ექვსი წლის შემდეგ, განმუხური კვლავ აქტუალური ხდება: სააკაშვილი ამბობს, რომ რუსებმა მარტო დვანი და დიცი კი არა, შეიძლება, განმუხურიც მიიერთონ. საინტერესო ის არის, რომ ასეთი სურვილი თუ ქმედება რუსების მხრიდან არ შეინიშნება და რას ეყრდნობა სააკაშვილის პროგნოზი, ზუსტ ინფორმაციასა თუ ეს შესაძლო საფრთხის წინასწარი განჭვრეტაა, ამ კითხვაზე პასუხი რთულია. „ვერსიასთან“ საუბარში წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის“ ლიდერი ვაჟა წიკლაური, 6 წლისწინანდელ მოვლენებს იხსენებს.**




— სააკაშვილმა ჩაბანი რომ შეაშინა და განმუხურიდან გააგდო, იმავე სერიალიდანაა, ღრუბელ-ღრუბელ რომ ემალებოდა რუსებს. ფარსია ეს ყველაფერი. სინამდვილეში, ჩემი ინფორმაციით, მაშინ სააკაშვილმა სამი მილიონი დოლარი გადაუხადა გენერალ ჩაბანს, ეს სცენა რომ დაედგა და მასაც რა ენაღვლებოდა, სამწუთიან კადრებში სამი მილიონი აიღო და საშვილიშვილოდ გაკეთდა. ფული ერთ ცნობილ კომპანიას შეაწერეს. მოკლედ, მიშას ვაჟკაცობაცა და მისი ჯარის სიძლიერეც, პიარის მეტი, არაფერი იყო და ეს ვიწვნიეთ კიდეც განმუხურის ამბებიდან რამდენიმე თვეში.

**— დღეს რატომ ხდება განმუხურის საკითხის წამოწევა, სააკაშვილის გარდა, ეს გიგა ბოკერიამაც იმავე კონტექსტში ახსენა...**

— ჩემი აზრით, ნაციონალების სურვილია, ასე მოხდეს, რაც გარკვეულ გათვლებს უკავშირდება და პირდაპირ კავშირშია იმასთან, რაც დღეს სამაჩაბლოს სოფლებში ხდება.

**— ექსპერტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილსაც და პუტინსაც აწყობთ პროვოკაცია საზღვრებთან. პუტინი ამით ოკუპაციის მასშტაბის გაზრდას შეძლებს, სააკაშვილი კი არჩევნებს ჩაშლის და ხელისუფლებაში ყოფნის ვადას გაიგრძელებს...**

— პროვოკაცია მართლა აწყობს ორივეს, მაგრამ სააკაშვილს სულ სხვა სურვილი აქვს. დავუშვათ, ღმერთმა ნუ ქნას და, მართლა მოხდა რაღაც პროვოკაცია, ნაკლებსავარაუდოა, იგი ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში გადაიზარდოს, რადგან ნაციონალები ამის რესურსს აღარ ფლობენ. ამდენად, წარმოუდგენელია, რამ უნდა შეუშალოს ხელი არჩევნების ჩატარებას. ამის ილუზია სააკაშვილის გარემოცვაშიც არავის აქვს. მათ სრულიად სხვა მიზეზების გამო აწყობთ ვითარების ესკალაცია. ნაციონალებს ეშინიათ, რომ წინასწარ გამოცხადებული კოჰაბიტაციის დასრულების შემდეგ, მათ გაცილებით მკაცრად მოსთხოვენ პასუხს, ამიტომ რაც უფრო დიდხანს იქნება ქვეყნის ყურადღება ფოკუსირებული დიცზე, დვანსა თუ განმუხურზე, დროს მოიგებენ და ადეიშვილივით გადაიკარგებიან. სააკაშვილის განცხადებაც ყრილობაზე — პოლიტიკაში დასაბრუნებლად ბრძოლას ისევ განვაგრძობთო, თვალის ასახვევი მანევრია. ყურადღება რომ მოადუნოს ხალხმა, არსად მიდიანო და სწორედ მაშინ გაიპარონ. აბა, რა პოლიტიკური ცხოვრება უნდა გააგრძელონ ამ მკვდრებმა. თქვენ წარმოგიდგენიათ, რიგითი მოქალაქეები: ბოკერია, სააკაშვილი ან მერაბიშვილი (თუ გამოუშვეს ციხიდან) თბილისის ქუჩებში დგანან და აგიტაციას ეწევიან ხალხში — თქვენი კეთილი მომავლისთვის ხმა მოგვეცითო, ეს ხომ შეუძლებელია? მათი ერთადერთი სურვილია, აქედან გაასწრონ, ამისათვის კი ქვეყანაში არეულობა, ამ შემთხვევაში სამხედრო კონფლიქტი ძალიან აწყობთ.

**— ანუ მაოხრებელი გზირის როლში გამოდიან, ნუთუ პირადი ინტერესებისთვის წირავენ მთელ ქვეყანას, უფრო სწორად, უნდათ, რომ გაწირონ?**

— პირადი ინტერესებისთვის ქვეყნის გაწირვა ნორმალური ხალხისთვისაა მიუღებელი, თორემ მათ, საკუთარი თავის გარდა, რამე რომ აინტერესებდეთ, ქვეყანა ამ დღეში არ აღმოჩნდებოდა. მათი სამხედრო დანაშაულის გამო წავაგეთ ომი. მათი სამხედრო დანაშაული იყო, რომ დაგვიბარეს პარტიზანების მეთაურები და გვითხრეს: თუკი ბრძოლას გავაგრძელებდით, სამხედრო მოღალატეებად გამოგვაცხადებდნენ, მერაბიშვილის ხალხი დაგვდევდა ტყესა და ღრეში ისეთი მონდომებით, ეს რომ რუსებისთვის ექნათ, ყველას მართლა ბდღვირს აადენდნენ. მოკლედ, ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება მაგათი დანაშაულიდან, რისთვისაც აუცილებლად უნდა მოეთხოვოთ პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, წელში ვერასოდეს გავიმართებით, რადგან ასეთი დამნაშავეების დაუსჯელობა ხალხს აგლახავებს. დაგლახავებისთვის კი არ გვცალია, ტერიტორიები გვაქვს დასაბრუნებელი.

**— ანუ პარტიზანული ბრძოლები აგვისტოში იმიტომ ვერ ვაწარმოეთ, რომ ასეთი ნება არ იყო. მახსოვს, პირველად რომ გამოვაქვეყნე ინტერვიუ, მთელი საქართველოდან მირეკავდნენ და თქვენთან დაკავშირებას მთხოვდნენ.**

— პატრიოტების ნაკლებობას არ განვიცდიდით. ჩვენ გვყავდა ძალიან ძლიერი პარტიზანული დაჯგუფება, რომელიც სამთავრობო ჯარებთან ერთად, შეძლებდა, წინააღმდეგობა გაეწია მტრისთვის. საერთოდაც, იქაური გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, პარტიზანული ტაქტიკა მომგებიანი, მაგრამ ბოლო წუთს დაშლა გვიბრძანეს. იყო მცდელობა, დამოუკიდებლად გვეწარმოებინა ბრძოლები, მაგრამ, როცა ზურგსუკან საკუთარი ქვეყანა არ გიდგას, ამას ვერ გააკეთებ. იარაღი გინდა, ფული, საჭმელი, ამ ყველაფერს თანადგომა უნდა ქვეყნის მხრიდან. თანადგომა კი არა, მერაბიშვილის ბრძანება იყო, თუ არ დავიშლებოდით, ყველას გაგვანადგურებდნენ. სხვა პარტიზანებიც ხომ არიან, შეგიძლიათ, მათთან გადაამოწმოთ ეს. ნაციონალებმა წინასწარ იცოდნენ, რაც მოხდებოდა და ეს ყველაფერი აწყობდათ კიდეც: კარსმომდგარი მტრის მომიზეზებით, უფრო შეძლებდნენ ძალაუფლების განმტკიცებას და ხალხისთვის მარწუხების მოჭერას. ასეც მოხდა, ისევ ნაციონალების საკეთილდღეოდ — ნაცებს აქვთ ყველაზე მდიდარი პარტია. საიდან? გაღლეტილ მერაბიშვილსა და მის დამქაშებს ვინ მისცა ფული? ვინ და, ეს სწორედ ის ფულია, ქვეყანას რომ გამოუგზავნეს და ახლა ამ ფულით ხალხის წინააღმდეგ გამოდიან, ამიტომაც კატეგორიულად მოვითხოვ, უკლებლივ ყველა გასამართლდეს.

**— ბევრი აკეთებს პროგნოზს, რომ არჩევნების შემდეგ სააკაშვილსაც დაიჭერენ.**

— ალბათ, ძნელი იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ამერიკელები მაინც შეეცდებიან, ასე არ მოხდეს, რადგან, რაც უნდა იყოს, მიშა მაინც მაგათი პროექტია და ძნელია, როცა პროექტები თანმიმდევრულად გივარდება. თუმცა, თუკი პრინციპულ პოზიციას დავიჭერთ, დათმობენ კიდეც, რადგან ანტიამერიკული განწყობა საქართველოში ასევე თანმიმდევრულად იზრდება. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ამერიკელებმა მიშა, როგორც მელიას ბარტყი, ისე გადმოგვიგდონ. სამართლიანობის აღსადგენად ეს საუკეთესო ნაბიჯია.

# „ხალხი გელაშვილის კი არა, ივანიშვილის გარშემო დაირაზმა“

## რას ყვებიან ხაშურელები თავიანთ დეპუტატზე?

დავით დევიძე
593-219-042

**როცა მთელ მსოფლიოში გაგანია ეკონომიკური კრიზისია, ნაციონალი უნდა იყო, რომ ბიძინა ივანიშვილს პასუხი მოსთხოვო, რატომ არ ყვავის ეკონომიკა საქართველოში. ეკონომიკურ განვითარებას თავისი პრინციპები აქვს და სანამ ვითარება მთლიანობაში არ გამოსწორდება, ხეირს არც ჩვენ უნდა ველოდეთ.**

ამჯერად, ეკონომიკის პრინციპებზე საუბარს სულაც არ ვაპირებ, უბრალოდ, ისეთი კითხვის დასმა მინდა, რაზეც მოსახლეობა მოითხოვს პასუხს: ხელისუფლებაში მყოფ ზოგიერთ პირზე რატომ არ მოქმედებს ეს კრიზისი? ამ კითხვას ასეთი პასუხი აქვს: მათი უმრავლესობა ხელისუფლებაში ბიზნესიდან მოვიდა და ფინანსურად არ უჭირს. თანაც, რაც მთავარია, სახელმწიფო სახსრებითაც გვარიანად სარგებლობენ. ეს ყველაფერი კარგად ჩანს ხაშურის მაგალითზე. ერთი წლის წინ, ოქტომბრის არჩევნების დროს, აქ დიდი ბრძოლა იყო ნაციონალებსა და ოცნებისტებს შორის. მაშინ ხაშურელებმა ივაჟკაცეს და ნაცებს არჩევნების გაყალბების საშუალება არ მისცეს. ასე გახდა ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ბიზნესმენი ვალერი გელაშვილი. ახლა ვნახოთ, როგორ აფასებენ ხაშურელები ერთი წლის შემდეგ თავიანთი დეპუტატის საქმიანობას.

**„ვერსიას“ ესაუბრება ხაშურის მკვიდრი ზაზა მეხრიშვილი**: — ხაშურში ისეთი ვითარებაა, რომ ერთი წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა. არადა, ქუჩების მდგომარეობაა საგანგაშო — გზების სისტემა მთელ ხაშურში საჭიროებს რეაბილიტაციას, მაგრამ განმკითხავი არავინაა. სულ გაკეთდა ორი — თამარ მეფისა და ტაბატაძის სახელობის ქუჩა, ხოლო 9 აპრილის ქუჩაზე მარტო ტროტუარი გააკეთეს, ისიც სანახევროდ და იმ მხარეზე, სადაც ხაშურის გამგებელი გოგი ბერაია ცხოვრობს, თუმცა მხოლოდ ეს არ არის, რაზეც თქვენთან მინდოდა საუბარი. ხაშურში ყველაზე დიდი ქუჩა ვაჟა-ფშაველას სახელობისაა, რომლის რეაბილიტაცია იყო დაგეგმილი, მაგრამ რატომღაც, პროექტიდან ამოიღეს და სამაგიეროდ, ჩასვეს დეპუტატ ვალერი გელაშვილის სახლთან მისასვლელი ორი ქუჩა და ორივეზე დააგეს ასფალტი. არადა, კურიოზია, ერთ ქუჩაზე ცხოვრობს ოთხი, მეორეზე — ხუთი ოჯახი, ანუ სულ ცხრა ოჯახისთვის დააგეს ასფალტი.

**— პატარა ქუჩები ყოფილა...**

— საქმეც ისაა, რომ პატარა არ არის, გრძელი ქუჩებია, მაგრამ მარტო ცალ მხარეს ცხოვრობს ხალხი, მეორე მხარეს ბაღებია. მოკლედ, ყველაზე ნაკლებად აქტუალური რაც იყო, ის ქუჩები მოაწესრიგეს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ დეპუტატი გელაშვილი ცხოვრობს. გელაშვილმა ეშმაკობა იხმარა: ორივე გზა ხომ მიდის მის სახლთან. ჭიშკრამდე დარჩენილ ათ მეტრზე ორივე გზაზე არ დააგებინა ასფალტი, ვითომ ვინმე რომ შეედავოს, სათქმელი ექნება, მისი სახლის წინ ასფალტი დაგებული საერთოდ არ არის.

**— გამაცინეთ, კარგი ხერხი კი მოუფიქრებია.**

— კი, მაგრამ მარტო მაგის მოფიქრებულსაც არ ჰგავს — საკრებულოც ეხმარება. მის გარეშე საერთოდ შეუძლებელია ასფალტის დაგება და არც ვალერი გელაშვილის ქუჩები ჩაჯდებოდა პროექტში. რა ხდება, იცით? საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე იყო ნაციონალი, გელაშვილი რომ მოვიდა დეპუტატად, გადაიბირეს და ოცნებაში გადაიყვანეს... ეტყობა, ახლა ლომიძემ ამ გზების მოპირკეთებით ასიამოვნა გელაშვილს, გამგეობაც მხარს აუბამდა, რადგან მისი წევრების უმრავლესობა ვალშია დეპუტატთან. გელაშვილს პირდაპირ გამგეობის წინ აქვს რესტორანი „პაპას დუქანი“ და მთელი გამგეობა აქ დადის პურის საჭმელად. ზოგჯერ „პოსლეზეც“ ქეიფობენ და გელაშვილთან ვალი უგროვდებათ. სხვათა შორის, ხაშურში იმასაც ამბობენ, მაჟორიტარმა ეს ფული რომ ვერ ამოიღო, სახელფასო ბარათები ჩამოართვა გამგეობის წევრებსო. მოკლედ, ზოგი მადლობის გამოხატვის, ზოგი კიდევ ვალის გამო, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ასიამოვნოს გელაშვილს. არადა, როგორც მოგახსენეთ, ვაჟა-ფშაველას ქუჩა ყველაზე დიდია ხაშურში, რომლის ბოლოშიც განთავსებულია მე-9 საჯარო სკოლა, სადაც 1200 ბავშვი სწავლობს. ეს ბავშვები სკოლამდე რომ მიაღწევენ, მთლიანად ლაფში არიან ამოსვრილები, განსაკუთრებით, უამინდობის დროს, ამიტომ ვეკითხები დეპუტატს: რა უფრო პრიორიტეტული იყო — ყველაზე დიდი ქუჩის კეთილმოწყობა თუ მის სახლამდე მისასვლელი გზების მოასფალტება?

**— ქუჩები გასაგებია, სხვა რამით თუ ეხმარება რაიონს?**

— რა დახმარება, ბიზნესმენია და საკუთარ თავს ეხმარება. ხაშურში იშვიათად მოდის... ხალხიც არ ემადლიერება. რომ ჩამოხვიდეთ ჩვენთან, თავადვე ნახავთ ყველაფერს.



**— ხაშურში აუცილებლად ჩამოვალ, მაგრამ საკვირველ რამეს ამბობთ. ამ კაცის გულისთვის შარშან მთელი ხაშური გაერთიანდა და ნაციონალების ზონდერბრიგადებს კუდით ქვა ასროლინა, რითაც დაამტკიცა, რომ ამ ქალაქში მართლა ვაჟკაცი ხალხი ცხოვრობს.**

— ხალხი გელაშვილის კი არა, ბატონი ბიძინას გარშემო დაირაზმა, თორემ ეგ საერთოდ არავის უყვარს, თავისი გარემოცვის გარდა. უბრალოდ, ივანიშვილის ხათრით, მისცეს ხმა...

**აი, ასეა საქმე. თუკი ბიზნესმენები საკუთარ ფულს არ დახარჯავენ და ქვეყნის ბიუჯეტით მოიწყობენ ცხოვრებას, რაღა ეკონომიკური კრიზისი დაეტყობათ. თანაც ვერ შეედავებით, რადგან თავის გამამართლებელი საბუთიც მოეძებნებათ. ყოველ შემთხვევაში, ეს „ვერსიისა“ და ხაშურის დეპუტატის ვალერი გელაშვილის საუბარშიც კარგად ჩანს:**

— ასეთი პროექტი მართლაც, არსებობდა, რომელიც ითვალისწინებდა ჩემს ქუჩაზე ასფალტის დაგებას, მაგრამ ამოვაღებინე.

**— აბა, მატყუებენ, ბატონო ვალერ? თუ ასეა, ამის გადამოწმებას რა უნდა. თუ იმ ათიოდე მეტრს გულისხმობთ, რომელიც თქვენ სახლამდე აღარ მოდის.?**

— ასფალტი მოიყვანეს მარტო ჩიხამდე. ხოლო როცა მთელ ხაშურში დაიგება ასფალტი, მხოლოდ ამის მერე დავაგებ მეც. სხვათა შორის, დედაჩემიც მეუბნებოდა, რომ კარგი არ იქნებოდა, თუკი ჩვენს ქუჩებზე დავაგებდით ასფალტს. მეც ამ აზრის ვარ და ამიტომაც შევაცვლევინე პროექტი...

**ერთი სიტყვით, რკინის ლოგიკაა და ვერ შეედავები. თუკი სახლამდე ორი ქუჩა მიდის და ორივეზე დაგებული ასფალტი დეპუტატის სახლამდე 10 მეტრში წყდება, გამოდის, მისი სახლის წინ მართლა არ არის ქუჩა კეთილმოწყობილი. ისე, ჩემი აზრით, რომ დაეგოთ, უკეთესი იქნებოდა, რადგან ასეთი იაფფასიანი ფანდებით დღეს აღარავინ ტყუვდება, თან ბოლომდე მოასფალტებული გზა მაინც შერჩებოდა.**



№106 (862) 14 - 15 ოქტომბერი, 2013 წელი

# ყურძნის რეალიზაციის შედეგად, კახელმა მევენახეებმა 100 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს

## წლევანდელი რთვლის წარმატების საიდუმლო — სახელმწიფომ ყურძნის ფასთწარმოქმნა ღვინის კომპანიებსა და მევენახეებს მიანდო




**სოფლის მეურნეობის მინისტრის, შალვა ფიფიას განცხადებით, რთვლის ფარგლებში, კახეთის რეგიონის მევენახეებმა, ყურძნის რეალიზაციის შედეგად, შემოსავლის სახით, დაახლოებით, 100 000 000 ლარზე მეტი მიიღეს. „რთველი — 2013“-ის ფარგლებში, საწარმოებმა დამატებით, სპეციალური შეღავათიანი სესხები აიღეს. სამინისტროს ინფორმაციით, საწარმოებზე ჯამურად უკვე გაიცა 43 688 024 ლარის ოდენობის, 38% შეღავათიანი სესხი. წელს, რთველში პირდაპირი შემოსავალი, დაახლოებით, 17 000-მა ოჯახმა მიიღო. ყურძნის ყველაზე დიდი რაოდენობა სოფელ დიდ ჩაილურში, ერთმა ფერმერმა ჩააბარა და ანაზღაურების სახით, 200 000 ლარამდე მიიღო. ჩაბარების საშუალო მაჩვენებელი 5 ტონა ყურძენი იყო და თითოეულმა ოჯახმა, შემოსავლის სახით, 7 000 ლარამდე მიიღო. შალვა ფიფიას განცხადებით, მთავარი შედეგი, რაზეც სახელმწიფო „რთველი — 2013“-ის დაგეგმვის დროს იყო ორიენტირებული, მიღწეულია. სახელმწიფო დაეხმარა გლეხებს და მაღალი ორგანიზებულობით ჩაატარა რთველის. ამავდროულად, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, წარმოების განვითარებასაც შეუწყო ხელი.**

**დავით ზუკაკიშვილი** საგარეჯოს რაიონის ფერმერია. „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ წლევანდელ რთველში, დაახლოებით, 10 ტონამდე ყურძენი — „საფერავი“ და „რქაწითელი“ ჩააბარა. მცირე რაოდენობა ოჯახშიც დაიტოვა და საკუთარი ხელით დაწურა. შემოსავლის სახით კი, დავით ზუკაკიშვილმა 4 000 აშშ დოლარი „საფერავის“ რეალიზაციის, ხოლო 3 000 ლარი — „რქაწითელის“ რეალიზაციის შედეგად მიიღო:

**„წლევანდელი რთველი მართლაც საუკეთესო იყო. დიდი ხანია, ასე კარგად ორგანიზებული რთველი არ მინახავს. ყველაზე მნიშვნელოვანი წელს ის იყო, რომ სახელმწიფო ყურძნის ფასში საერთოდ არ ჩარეულა, რადგან ფასთწარმოქმნა მთლიანად მევენახეებსა და ღვინის მწარმოებელ კომპანიებს მიანდო. ფაქტია, რომ რთველში ყველას აქვს კომერციული ინტერესი, მათ შორის მევენახესაც და განსაკუთრებით, ღვინის კომპანიებს. ამაში ცუდი არაფერია და ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს. ძალიან კარგი იყო, რომ სახელმწიფომ წელს სუბსიდირების სახით, ყურძნის ფასის ქვედა ზღვარი დააწესა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კომპანია 1 კგ. ყურძენში 1 ლარზე ნაკლებს არ გადაიხდიდა, სუბსიდიის სახით, 40 თეთრს მიიღებდა. იყო შემთხვევები, რომ ზოგიერთი ქარხანა 1 ლარზე მეტსაც იხდიდა, რამაც გლეხებსა და ფერმერებს საშუალება მისცა, არჩევანი გაკეთებინათ ანუ ყურძენი იქ ჩაებარებინათ, სადაც მეტს იხდიდნენ.**

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებასაც თავისი პოზიტიური შედეგი მოჰყვა. ამით საშუალება მოგვეცა, შხამ-ქიმიკატები და სასუქი შეგვეძინა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო ამდენ ადამიანს დაეხმარა და განა ეს დადებითად არ უნდა შევაფასოთ? ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა, ამ მთავრობის მომხრე ხარ თუ არა, სახელმწიფო ყველას აძლევს ბარათს და ეუბნება, რაც გინდა, ის გააკეთე და როგორც გინდა, ისე მოიხმარე, ეს დასაფასებელი არ არის?“**

ღვინის კომპანია „ბაგრატიონის“ გენერალურმა დირექტორმა **გიორგი რამიშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ წლევანდელი რთველი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა, რადგან რა გეგმაც დასახა კომპანიამ და როგორც რთვლის პროგრამა გაწერა, ყველაფერმა ისე ჩაიარა:

**„რაც მთავარია, სახელმწიფოს მიერ რთვლის პროცესი კარგად ორგანიზებული იყო. არავის, მათ შორის არც ფერემერებსა და არც ღვინის მწარმოებელ კომპანიებს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, პრობლემა არ შექმნიათ. კომპანია „ბაგრატიონმა“, კახეთის რეგიონში, 3 000 ტონაზე მეტი ყურძენი, ძირითადად, რქაწითელი ჩაიბარა. რაც შეეხება სუბსიდირებას, ესეც აშკარად პოზიტიური მომენტი იყო, რადგან 1 კგ ყურძენში გადახდილი 1 ლარიდან, სუბსიდიის სახით, სახელმწიფომ 40 თეთრით დაგვაფინანსა.**

**წლევანდელი რთველი ერთადერთი კარგი რთველი იყო ბოლო 8-9 წლის განმავლობაში. სახელმწიფომ თავიდან ბოლომდე გაითვალისწინა ბიზნესის ინტერესები, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მევენახისა და ღვინის კომპანიის ურთიერთობაში არც სამინისტრო და არც „ღვინის ეროვნული სააგენტო“ არ ჩარეულა და ფასთან დაკავშირებით მოლაპარაკება, უშუალოდ, ამ ორ სუბიექტს მიანდეს. სახელმწიფო რთვლის პროცესში უმნიშვნელოდ ჩაერია, რაც მაღალ ორგანიზებულობასა და ამ პროცესის მონიტორინგში გამოიხატა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელ რთველში, არანაირი პრობლემა და სირთულე არ შეგვქმნია“.**

ღვინის კომპანია „ბაგრატიონის“ პროდუქცია ექსპორტზე 15 ქვეყანაში გადის, მათ შორის უკრაინაში. წელს კომპანიის საექსპორტო პორტფელს რუსეთის ბაზარიც დაემატა. მიუხედავად ამისა, კომპანიას რუსეთის ბაზრის მიმართ, ფრთხილი დამოკიდებულება აქვს, რადგან დასამალი არავისთვისაა, რომ პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ბაზარი დიდი რისკის შემცველია.

„რთველი — 2013“-ის შეფასება „ვერსიამ“ ექსპერტს, **ნოდარ ჩხარტიშვილსაც** სთხოვა:

**„კახეთის რეგიონში რთველი საკმაოდ წარმატებულად ჩატარდა. დიდი ხანია, ასეთი რთველი არ მინახავს. ჯერ ერთი, უხვმოსავლიანი და ბარაქიანი რთველი იყო, მაგრამ რაოდენობის გარდა, წლევანდელი ყურძნის მაღალი ხარისხიც უნდა აღვნიშნოთ. რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ“ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ წლევანდელი რთველი კარგად ორგანიზებული ყოფილიყო. ამ ორი უწყების პოზიტიური ინიციატივების შედეგი იყო ის, რომ წელს ყურძნის ფასი ყველასთვის, მევენახეებისა და ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვისაც მისაღები იყო. რქაწითელის ფასი 1 ლარიდან, 1,60 ლარამდე, ხოლო საფერავის ფასი — 2 ლარის ფარგლებში მერყეობდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. რთვლის პროცესში, ძირითადად, კახეთის რეგიონში ვიყავი და გულწრფელად გეტყვით, უკმაყოფილო ადამიანი ნამდვილად არ შემხვედრია“.**

კონკრეტულად, რა ახალი ინიციატივები შესთავაზა წლევანდელ რთველში მევენახეებსა და ღვინის მწარმოებელ კომპანიებს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ“? რა არის „რთველი — 2013“-ის წარმატების საიდუმლო და რატომ აფასებენ წლევანდელ რთველს პოზიტიურად, როგორც ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები, ასევე მევენახეები და ექსპერტები?

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, წლევანდელ რთველში, სახელმწიფომ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ხელშეწყობის სუბსიდიის პროგრამა სრულიად ახალი მიდგომით განახორციელა. პროგრამაში მეწარმეები ნებაყოფლობით ჩაერთნენ, ანაზღაურება კი, ვაუჩერის გარეშე, პირდაპირი გადახდის გზით განხორციელდა; სწორად განისაზღვრა დიფერენცირებული სუბსიდია; თანაბარ პირობებში ჩადგნენ დიდი და მცირე ფერმერები; რთველი დაიწყო მხოლოდ კონდიციური, მწიფე, ხარისხიანი ყურძნის კრეფიდან; რთვლის მიმდინარეობის პროცესში, შსს-ს ჩართულობა განისაზღვრა მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისა და ადგილზე სიტუაციის კონტროლით; ადგილი არ ჰქონია სახელმწიფოს ზეწოლას ფასის განსაზღვრაზე, რადგან მეწარმე თავისუფალი იყო არჩევანში; კომპანიებისთვის კი მისაღები ყურძნის რაოდენობა არავის დაუწესებია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ ამ ინიციატივების შედეგად, კახეთის რეგიონში, ამჟამად 84 კომპანიამ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რეკორდული რაოდენობის — 88 742 ტონა ყურძენი მიიღო და გადაამუშავა. შარშან, მთლიანობაში, მხოლოდ 52 000 ტონა გადაამუშავეს. „რთველი — 2013“-ის სწორად დაგეგმვამ, კიდევ ერთი შედეგი მოიტანა. სახელმწიფო კომპანიების მიერ შესყიდული და გადამუშავებული ყურძნის წილმა 17% შეადგინა. 2012 წელს, სახელმწიფო კომპანიების მიერ გადამუშავებული ყურძნის წილი 65%-ს შეადგენდა, ხოლო დანარჩენი მოსავალი კერძო სექტორმა აითვისა.

როგორც „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარემ, ლევან დავითაშვილმა განაცხადა, განსაკუთრებული მოთხოვნაა მევენახეობის სპეციფიკურ ზონებში, მათ შორის, მუკუზანში, ახაშენსა და ქინძმარაულში მოწეულ, „საფერავის“ ჯიშის ყურძენზე. ამის გამო, წელს 1 კგ. „საფერავზე“ ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა და მისმა მაქსიმალურმა ღირებულებამ 2,10 ლარი შეადგინა. ლევან დავითაშვილის თქმით, „წითელი“ ყურძნის („საფერავი“) გადამუშავების პიკი 12 სექტემბერს დაფიქსირდა. ერთ დღე-ღამეში, 4 500 ტონა ყურძენი გადაამუშავეს, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში არ მომხდარა.

***მაია მიშელაძე***






## ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში ორგანიზაცია OPCW გახდა

ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია OPCW გახდა. ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერი“ ავრცელებს.

„როიტერის“ ინფორმაციით, OPCW დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც გაერო-სთან თანამშრომლობს და სირიაში ქიმიური იარაღის განადგურებას აკვირდება.

ორგანიზაცია ჰააგაში მდებარეობს და მასში 189 სახელმწიფოა გაერთიანებული. OPCW პასუხისმგებელია ქიმიური იარაღის იმ კონვენციის განხორციელებაზე, რომელიც კრძალავს ქიმიური იარაღის განვითარებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაცემასა და გამოყენებას.

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას გამარჯვებისთვის 1,25 მილიონი დოლარი დაჯილდოების ცერემონიაზე ოსლოში, 10 დეკემბერს, ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს გადაეცემა.

შარშან ნობელის პრემია ევროკავშირს გადაეცა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## საქართველოში HUGO BOSS-ის და CHANEL-ის სუნამოების გამყალბებელი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სხვისი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტზე, თურქეთის მოქალაქე სელჩუკ იონჯუ დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა, ქალაქ რუსთავში მდებარე საწარმოში, კუსტარულად დაამზადა და გაასაღა, 12 300 ლარის ღირებულების HUGO BOSS-ის და CHANEL-ის სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული, დაახლოებით, 2 500 ცალი ფალსიფიცირებული სუნამო.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.

*„ვერსიანიუსი“*




## დავით ზალკალიანი: „მოლდოვაში, რუმინეთსა და იორდანიაში საარჩევნო კომისიების წევრთა საჭირო რაოდენობა ვერ შეგროვდა“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი აცხადებს, რომ მოლდოვაში, რუმინეთსა და იორდანიაში საარჩევნო კომისიების წევრთა საჭირო რაოდენობა ვერ შეგროვდა და ამიტომ აქ საარჩევნო უბნები საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ვერ გაიხსნება.

მისი განმარტებით, ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა ძალიან ცოტაა.

**„ჩვენი საკონსულო ყველანაირად ეცადა, შეეკრიბა საჭირო რაოდენობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეკრიბა. როდესაც ვერ იკრიბება კომისიის წევრების საჭირო რაოდენობა, ბუნებრივია, კომისიაც ვერ შედგება“,** — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მისივე თქმით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საგარეო უწყებიდან სიები დროულად მიეწოდა, ერთადერთი გამონაკლისი იყო ამერიკის შეერთებული შტატები, კერძოდ, ნიუ-იორკის საკონსულოდან დროში განსხვავების გამო, მოხდა სიის დაგვიანებით მიწოდება. ზალკალიანის განცხადებით, მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე საათის დაგვიანებით მოხდა ამ კონკრეტული სიის მიწოდება ცესკო-სთვის, დანარჩენი სიები კი, დროულად მიეწოდა.

*„ვერსიანიუსი“*

# „ტრანსადრიატიკულმა გაზსადენმა“ „ნაბუქოს“ შანსი აღარ დაუტოვა




ზურაბ გამრეკელი

**აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ექსპორტის მოახლოებასთან ერთად, ბრიუსელმა რუსულ „სამხრეთის ნაკადს“ სპეციალური, პრიორიტეტული პროექტის სტატუსის მინიჭებაზე უარი განუცხადა. ა/წ სექტემბრის ბოლოს, შაჰ-დენიზის კონსორციუმმა თავისი ახალი საბადოს აირზე ევროკავშირის ცხრა გაზგამანაწილებელ კომპანიას 100 მლრდ დოლარის გაზმომარაგების კონტრაქტები რომ გაუფორმა, „ვერსიის“ ფურცლებზე უკვე ვწერდით... ანუ ევროკავშირი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტებს მხარს უჭერს იმ დროს, როცა ანალოგიურ მხარდაჭერაზე რუსულ „სამხრეთის ნაკადს“ ღიად უცხადებს უარს. ამას არა მხოლოდ ბრიუსელსა და მოსკოვს შორის ბოლო დროს გამწვავებული პოლიტიკური დაპირისპირება, არამედ ეკონომიკური პროცესებიც განაპირობებს. ამასთან, „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“' („ტაპი“) აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ტრანსპორტირების ტენდერში გამარჯვებამ, როგორც ჩანს, არა მარტო „ნაბუქოს“ პროექტი შეაფერხა, არამედ, სავარაუდოდ, საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი თხევადი გაზის ტრანსპორტირების „აგრის“ პროექტიც გაურკვეველი ვადით გადადო.**

### ამერიკა ევროკავშირსა და რუსეთს მეტად გაუსწრებს

ევროკომისიის ა/წლის 25 სექტემბერს გამოქვეყნებული დასკვნით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში საწვავის ფასი, სავარაუდოდ, დღევანდელ მაღალ დონეზე დარჩება. ევროკომისია 2014 წლის ინდუსტრიული სამიტის შემდეგ აპირებს ამ საკითხზე პოლიტიკური დოკუმენტის მომზადებას, რომელშიც განხილული იქნება ევროკავშირის მიზნები ენერგეტიკის სექტორში. საქმე ისაა, რომ თუ ენერგომატარებლების ფასები არ შემცირდება, კავშირის წევრი ქვეყნები, შეიძლება, აშშ-ს ეკონომიკურად ჩამორჩნენ. ევროკომისია მიუთითებს, რომ საწვავის სიძვირის გამო, ევროპის სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი გასული წლის 15.5%-დან წელს 15.1%-მდე შემცირდა. ამ დროს, 2020 წლისთვის დაგეგმილია 20%-იანი ზრდის მიღწევა.

უკვე ამ წლის ბოლოს, აშშ გაზისა და ნავთობის ჯამური მოპოვებით რუსეთს გაუსწრებს და ნახშირწყალბადების უდიდესი მწარმოებელი გახდება. ექსპერტების აზრით, ფიქლების წარმოების გამო, ბარელი ნავთობის მსოფლიო ფასი 60-80 დოლარამდე დაეცემა, რაც რუსეთის საბიუჯეტო სტაბილურობისთვის პირდაპირი საფრთხეა, რადგან 2014-2016 წლებში ბიუჯეტის შემოსავლები რუსეთში ნავთობის მსოფლიო ფასის ბარელზე 95-100 დოლარის დიაპაზონშია გათვლილი. დღეის მდგომარეობით, გაზის ფასების შემცირებით, რუსეთის ხაზინა უკვე დაზარალდა და ახლა ნავთობის გაიაფება იქცევა კრემლის კეთილდღეობის პრობლემად. იმისთვის, რომ 2014 წელს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე, რუსეთში საბიუჯეტო პარამეტრებიც შესრულდეს და ნავთობმოპოვებაც რენტაბელური იყოს, ბარელი ნავთობის ფასი წლის ბოლომდე არ უნდა დაეცეს 95 დოლარზე დაბლა.

მოსალოდნელი ნეგატიური მოვლენებისგან თავის დასაცავად, რფ-ში მომზადდა „ძვირფასი ლითონების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი. თუ რფ-ს პარლამენტმა ის მიიღო, მაშინ მომავალი წლის 1 იანვრიდან, როგორც ანტიკრიზისული ღონისძიება, რუსეთიდან, რომელიც წლიურად 200 ტონამდე ოქროს მოიპოვებს, აიკრძალება ოქროს ზოდებისა და ჯართის გატანა.

ეს შეიძლება დაგვიანებული ნაბიჯი აღმოჩნდეს, ვინაიდან აშშ ენერგოინფორმაციის დეპარტამენტისა და საერთაშორისო ენერგოსააგენტოს მონაცემებით, უკვე შარშან, 1982 წლიდან პირველად, აშშ-მ გაუსწრო რუსეთს გაზის მოპოვებით, თუმცა ჯერჯერობით, ჩამორჩება მას ნავთობის ამოღებით. კერძოდ, 2013 წლის I ნახევრის მონაცემებით, აშშ-ს დღიური ნავთობმოპოვება 9.9 მლნ ბარელია, ხოლო რუსეთის – 10.8 მლნ ბარელი (დღეს ამ სფეროში კვლავ ლიდერად რჩება საუდის არაბეთი დღეში 11.7 მლნ ბარელით). შედეგად, ამერიკაში გაზისა და ნავთობის იმპორტი ბოლო ხუთ წელში შემცირდა, შესაბამისად, 32% და 15%-ით. ამის გამო, ექსპერტული მონაცემებით, ენერგორესურსებით გლობალურ ვაჭრობაში ძირითადი ფაქტორი ხდება ჩრდილოეთ ამერიკის მზარდი თვითუზრუნველყოფა, რაც ჩრდილოეთ ამერიკაში ფიქლების გაზისა და ნავთობის მოპოვების ზრდით გახდა შესაძლებელი. სპეციალისტების აზრით, თუ 2012 წელს აშშ-მ 260 მლრდ კუბმეტრი ამ სახის საწვავი მოიპოვა, 2040 წლისთვის ამ მაჩვენებელმა, შესაძლოა, 485 მლრდ კუბმეტრს მიაღწიოს.

ამის გათვალისწინებით, ბრიუსელის ახალ სამრეწველო სტრატეგიაში გამოყოფილია ექვსი პრიორიტეტი, რომელიც მოკლევადიან პერიოდში უნდა განხორციელდეს: ა) მოწინავე სამრეწველო ტექნოლოგიები; ბ) წამყვანი ტექნოლოგიები ხელით შრომის შესამცირებლად; გ) ბიოტექნოლოგიები; გ) სამშენებლო და ნედლი მასალები: დ) დაბალგამონაბოლქვიანი ავტომანქანები; ე) „ჭკვიანი“ ქსელები.

### „ფიქლების რევოლუციით“ ამერიკა ლიდერი ხდება

პირველი პრიორიტეტი განპირობებულია იმით, რომ აშშ-ს „ფიქლების რევოლუციის“ დაწყების შემდეგ, იაფი ენერგოტექნოლოგიით ამ ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის ახალი ტალღა დაიწყო, რამაც ევროპული საქონლის კონკურენტუნარიანობა შეამცირა. საქმე ისაა, რომ მრეწველობის ზოგი დარგი, როგორიცაა მაგალითად, ქიმიური ინდუსტრია, გაზს არა მარტო როგორც ენერგიის წყაროს, არამედ მასალადაც იყენებს. გაზის სიიაფის გამო, ევროპული კაპიტალი მასობრივად გადადის აშშ-ში. ევროკომისიის გათვლებით, ამერიკასთან შედარებით, ევროპაში გაზის ფასი ოთხჯერ მაღალია. ამ წლის დასაწყისი ევროკავშირის ლიდერებმა სამიტი ჩაატარეს, სადაც აღინიშნა, რომ ევროკავშირისთვის ძნელი იქნება ამერიკული „ფიქლების რევოლუციის“ გადმოღება იმიტომ, რომ კონტინენტზე განსხვავებული გეოლოგიური, საკუთრებითი და გარემოსდაცვითი პრობლემებია. ამ საკითხებზე საგნობრივი მსჯელობა გაიმართება 2014 წლის თებერვალში, ევროკავშირის სპეციალურ ენერგოსამიტზე.

მიუხედავად აშშ-ს ფირმების მხრივ, იაფი ენერგიის გამო არსებული კონკურენტული დაპირისპირებისა, ევროკავშირი მაინც არ აძლევს რუსულ „გაზპრომს“ ევროპის „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ შეზღუდვების გვერდის ავლის საშუალებას. ა/წლის 27 სექტემბერს, ქ. მილანში გამართულ ენერგოკონფერენციაზე „გაზის დიალოგი“ გამოსვლისას, რფ-ს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ანატოლი იანოვსკიმ ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვისა და ბრიუსელის მოლაპარაკებები „მესამე ენერგოპაკეტის“ ირგვლივ წარმატებული იქნება; თუმცა, იქვე, ევროპის ენერგოკომისარმა, გიუნტერ ეტინგერმა შეუვალად განაცხადა, რომ რუსული „სამხრეთის ნაკადი“ არის დამატება, მაგრამ არა ახალი გაზმომარაგების წყარო და აქედან გამომდინარე, მას არ შეუძლია, გაზარდოს ევროკავშირის გაზის ბაზრის კონკურენტუნარიანობა.

იგივე აზრი გამოითქვა ოქტომბრის დასაწყისში, ვაშინგტონის წამყვანი სამეცნიერო ცენტრების მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელზეც იმსჯელეს 2014 წელს აშშ-ს ჯარების ავღანეთიდან გამოსვლის შემდეგ ევრაზიის რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე და „შაჰ-დენიზის“ აირის „ტაპის“ გაზსადენით ევროპაში ტრანსპორტირებაზე.

*დასასრული მე-11 გვერდზე*

ინოვაცია




# „ვისოლმა“ მთელ ქსელში საწვავის მიწოდების უახლესი ტექნოლოგია დანერგა

## ავტომატიზაციის უნიკალური სისტემა საწვავის ხარისხის კონტროლისა და 100% სიზუსტით მიწოდების გარანტიაა

„ვისოლის“ ნებისმიერ ავტოგასამართზე საწვავის ჩასხმას, ამიერიდან გაცილებით სწრაფად შეძლებთ და პარალელურად, პროდუქციის ხარისხსაც გააკონტროლებთ. ეს საწვავის მიწოდების იმ ინოვაციური ტექნოლოგიის დამსახურებაა, რომელიც საქართველოში „ვისოლმა“ პირველმა დანერგა — ავტომატიზაციის სისტემა საწვავის ხარისხის კონტროლისა და 100% სიზუსტით მიწოდების დამატებითი მაღალტექნოლოგიური გარანტიაა. ამაში ჟურნალისტები თავად დავრწმუნდით, როცა ერთ-ერთ ავტოგასამართს ვეწვიეთ, უახლეს ტექნოლოგიას გავეცანით და ისიც საკუთარი თვალით ვნახეთ, როგორ კომფორტს უქმნის მომსახურების ახალი სისტემა მძღოლებს. ინოვაციის შესახებ ინფორმაცია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა **ვასილ ხორავამ** მოგვაწოდა: **„ვისოლი“ ინოვატორია საქართველოს ნავთობსექტორში. დიდი ხანია ჩვენი კომპანია მხოლოდ საწვავთან არ ასოცირდება, რადგან ჩვენ ავტოგასამართ სადგურებზე, ერთ სივრცეში, მომხმარებელს ვთავაზობთ ყველა პროდუქციასა და ნებისმიერი სახის მომსახურებას, რომელიც მძღოლს შეიძლება დასჭირდეს. „ვისოლი“ ყოველთვის ცვლილებებსა და სიახლეებზეა ორიენტირებული. ამის დამადასტურებელია ის, რომ მომხმარებლის მომსახურება უახლესი ტექნოლოგიით უზრუნველვყავით — აპარატები, რომლებიც ჩვენს ავტოგასამართებზე ამიერიდან იქნება და რომლებსაც „ავტოგასამართების ტვინიც“ შეგვიძლია ვუწოდოთ, მომხმარებელს ნამდვილ კომფორტს შეუქმნის. მისი საშუალებით, მძღოლი გააკონტროლებს, სერვისების რომელ პროდუქტს და რა რაოდენობით ასხამს მანქანაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასევე მოხდება ხარისხის კონტროლი. მომხმარებლის ყველა შენიშვნასა და მოთხოვნას ვიზიარებთ. თვალ-ყურს ვადევნებთ მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესებს და ავტოგასამართ სადგურებზე თანამედროვე ტექნოლოგიებს ვნერგავთ, ამისთვის კი 2-3 მილიონი ლარის ინვესტიცია ხორციელდება. ავტომატიზაციის სისტემის შემუშავება-დანერგვაზე 4 წელი ვიმუშავეთ და, შესაბამისად, მაღალტექნოლოგიური სისტემა, რომელიც ამერიკულ კომპანია GILBARCO-სთან ერთად შევქმენით, საქართველოში უნიკალური და ინოვაციურია. უახლოეს მომავალში ფართოდ დავნერგავთ თვითმომსახურების ავტოგასამართ სადგურებს“.**

ხარისხის კონტროლის მენეჯერმა, ექსპერტმა **ბესარიონ მამისაშვილმა** კი, უშუალოდ, ტექნოლოგიის დეტალებზე ისაუბრა: **„ეს გახლავთ ავტომატიზაციის ულტრათანამედროვე სისტემა, რომლის საშუალებით ხორციელდება ხარისხის კონტროლი. საქართველოში მას ანალოგი არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ აქ გაერთიანდა ყველა პოსტტერმინალი, რომლის საშუალებითაც შეგეძლოთ გადახდა. ამ სისტემაში გამოიყენებთ საბანკო ტერმინალის, საწვავის პლასტიკურ, უნიქარდისა თუ სხვა ტიპის ბარათებს და ქვითარსაც მიიღებთ. აპარატზე ციფერბლატი არ ფუნქციონირებს, აქ ხდება ავტომატური მართვა. ამ თანამედროვე სისტემის დანერგვის წყალობით, „ვისოლმა“ შეძლო, გაეზარდა მომსახურების ხარისხი, დრო კი შეემცირებინა“.**

„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს საქართველოში და ნავთობპროდუქტის ყველაზე ფართო არჩევანს სთავაზობს მომხმარებელს. „ვისოლი“ ინოვატორია საქართველოს ნავთობსექტორში — 2001 წელს „ვისოლი“ იყო პირველი ნავთობკომპანა, რომელმაც საქართველოს ბაზარზე ინოვაციური პროდუქტი, კორპორატიულო ჩიპური ბარათი დანერგა და 2009 წლიდან კორპორატიულ მომხმარებელს უკვე ავტოპარკის მართვის უნიკალურ GoLive სატელიტურ სისტემას სთავაზობს. უმაღლესი ხარისხის საწვავითა და მაღალტექნოლოგიური სერვისპროდუქტის შეთავაზებით, „ვისოლი“ საცალო ბაზრის ლიდერია.

*ნინო ლურსმანაშვილი*

ექსპერტი

# „ტრანსადრიატიკულმა გაზსადენმა“ „ნაბუქოს“ შანსი აღარ დაუტოვა

*მე-10 გვერდიდან*

კონფერენციაზე განხილული თემებიდან ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა თურქმენეთის „სამხრეთის გაზის დერეფანში“ ჩართვის საკითხი იყო. ექსპერტების უმრავლესობის აზრით, ა/წლის ივნისში „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმის გადაწყვეტილება ევროკავშირში „ტაპის“ გაზსადენით აზერბაიჯანული აირის ტრანსპორტირებაზე დასავლეთის ისტორიული გამარჯვებაა, თუმცა მხოლოდ 10 მლრდ კუბმეტრი გაზის რუსეთის გვერდის ავლით ექსპორტი, როცა ევროპის მოთხოვნა წლიურად 500 მლრდ კუბმეტრია, რეალურ დივერსიფიკაციას არ წარმოადგენს, ამიტომ სპეციალისტებმა გაიზიარეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოსაზრება, რომ „სამხრეთის დერეფანი“ არა მხოლოდ გაზსადენებია, არამედ ის არატრადიციული და განახლებადი ენერგეტიკა და სხვადასხვა სახის თხევადი გაზია. ამავე დროს, დასავლური გაზსადენების საუკეთესო მარშრუტად კონფერენციაზე კვლავ აზერბაიჯანის სატრანზიტო მიმართულება ჩაითვალა, რადგანაც ეს ქვეყანა აირის ექსპორტს სამხრეთ ევროპაში გეგმავს და ამდენად, არ არის რუსეთის პირდაპირი კონკურენტი ცენტრალური ევროპის ბაზარზე. ამასთან, BP-ის სპეციალისტების გათვლით, 2030 წელს ენერგომატარებლებზე, განსაკუთრებით, ბუნებრივ გაზზე მოთხოვნა 40%-ით გაიზრდება, საიდანაც 90% განვითარებად სამყაროზე, ძირითადად, ჩინეთსა და ინდოეთზე მოვა, ამიტომ 45 მლრდ დოლარად ღირებული „სამხრეთის დერეფანი“, რომლითაც 16 მლრდ კუბმეტრი აირით ევროპისა და თურქეთის გაზმომარაგება იგეგმება, მოკლე დროში, შესაძლოა, აღარც იქნას ტრანსნაციონალური კომპანიების პრიორიტეტი, რაც საქართველოს ენერგოპოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს.

ენერგეტიკის ევროკომისარმა გიუნტერ ეტინგერმა ხაზი გაუსვა, რომ აზერბაიჯანული გაზის ახლანდელი მცირე მოცულობა, შესაძლოა 5 წელიწადში 20-25 მლრდ კუბმეტრამდე გაიზარდოს; მეტიც, ტალინის „თავდაცვის კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელი მეთიუ ბრაიზა კონფრენციაზე ამტკიცებდა, რომ საკმარისია, „სამხრეთის დერეფნის“ ერთი პროექტი მაინც ამუშავდეს, რომ თურქმენეთი დაიწყებს გაზის დასავლეთისკენ ექსპორტს წლიურად 30-40 მლრდ კუბმეტრის მოცულობით.

კონფერენციაზე ბრაიზამ ასევე აზერბაიჯანული „სოკარის“ ფილიალის, „თურქას ჰოლდინგის“ (Turcas Holding) წინადადებაც გააჟღერა, ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე ისრაელის „ლევიაფანისა“ და „თამარის“ ოფშორული გაზის საბადოების თურქულ პორტ მერსინთან დამაკავშირებელი 470 კმ სიგრძის გაზსადენის აგების შესახებ. ამ 2.5 მლრდ დოლარის ღირებულების გაზსადენის წლიური წარმადობა 16 მლრდ კუბმეტრი აირი უნდა იყოს, მაგრამ ექსპერტების ნაწილს ეს გეგმა, ამ ეტაპზე, არარეალისტურად მიაჩნია, რადგან „ტაპის“ გაზსადენის წლიური წარმადობა მხოლოდ 10 მლრდ კუბმეტრია ანუ დაახლოებით 2020 წლისათვის, როცა „ტაპი“ უკვე „შაჰ-დენიზის“ მეორე ფაზის გაზით იქნება შევსებული, დამატებით 16 მლრდ კუბმრტრ აირს ეს მილსადენი ფიზიკურად ვერ გაატარებს. მართალია, „ტაპს“ აქვს წარმადობის 20 მლრდ კუბმეტრამდე გაზრდის პოტენციალი, მაგრამ ეს მხოლოდ „აფშერონის“ გაზის საბადოს ამუშავების შემთხვევაში მოხდება, როდესაც ამ საბადოდან გაზი „შაჰ-დენიზის“ საექსპორტო აირს დაემატება; ამიტომ, სპეციალისტების აზრით, შეუძლებელია ისრაელის გაზის ევროპაში აზერბაიჯანული გაზსადენებით ტრანსპორტირება. ეს აირი ახალი, ე.წ. მეხუთე დერეფნის ინფრასტრუქტურის შექმნას საჭიროებს, რაც კასპიის აირის ევროპისკენ გადამისამართებაში დამატებით კონკურენციას აჩენს.

სპეციალისტების აზრით, თუ უახლოესი 20 წლის განმავლობაში ისრაელიდან 15-16 მლრდ კუბმეტრი გაზის სტაბილური ექსპორტი განხორციელდება, მაშინ „თურქას ჰოლდინგის“ ზემოაღნიშნულმა პროექტმა, შეიძლება, ნაადრევად მივიწყებული „ნაბუქო-უესტის“ პროექტის „რეანიმაციაც“ გამოიწვიოს; ამასთან, ისრაელში გაზის მოპოვების საპროგნოზო მოცულობა – 16 მლრდ კუბმეტრამდე, მხოლოდ „ნაბუქო-უესტის“ (10 მლრდ კუბმეტრი) და არა გლობალური „ნაბუქოს“ (31 მლრდ კუბმეტრი) გაზსადენის აგების საშუალებას იძლევა. ამ მილში ისრაელის გაზი თურქეთის სამხრეთიდან, თურქეთ-ევროკავშირის საზღვრამდე ადგილობრივი ენერგოკომპანია „ბოტაშის“ შიდაქსელით შეიძლება გადაიტუმბოს.

თვით გაზსადენის კვიპროსიდან თურქეთამდე ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე გატარებაც არ უნდა იყოს პრობლემური. მაგალითად, თავის დროზე, კომპანია „ენის“ მიერ შავი ზღვის ფსკერზე „ცისფერი ნაკადის“ აგებისას, მილი 2 კმ-ზე მეტ სიღრმეზე ჩაიდო. მართალია, ხმელთაშუა ზღვა შავი ზღვისგან მარილის მაღალი შემცველობით გამოირჩევა, თუმცა ეს, მილის კარგი ჰიდროიზოლაციის პირობებში, არ არის პრობლემა. ამ ზღვის ფსკერზე, უკვე დიდი ხანია, წარმატებით ფუნქციონირებს ჩრდილოეთ აფრიკიდან ევროპაში გაყვანილი გაზსადენები — „მწვანე ნაკადი“, „მიდგაზი“, „მაღრიბ-ევროპა“, „ტრანსმედი“ ანუ „ენრიკო მატეის გაზსადენი“ და ა.შ.

### საბოლოოდ „დასამარდა“ თუ არა გლობალური „ნაბუქო“

უნდა აღინიშნოს, რომ ტენდერში „ნაბუქო-უესტზე“ „ტაპის“ პროექტის გამარჯვებას, ყველა პროდასავლური ორიენტაციის ქვეყანასა და პროექტზე ერთნაირად არ უმოქმედია; მაგალითად, ბოლო 23 წლის განმავლობაში არ ყოფილა რუმინეთის ენერგოუსაფრთხოებისთვის ისეთი გამოწვევა, როგორიც „ნაბუქო-უესტისა“ და „აგრის“ პროექტების გაურკვეველი ვადით გადადებაა. ამით ქვეყნისთვის მიყენებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ზიანი ძალზე სერიოზულია.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ტენდერამდე შედარებით მოკლევადიან პერიოდში მოხდა ისეთი მოვლენები, რაც „ნაბუქოს“ აქციონერებს უნდა გაეთვალისწინებინათ და „ყველა კვერცხი ერთ კალათაში არ ჩაეწყოთ“. კერძოდ, მომავალი „ნაბუქოს“ მთავარ შემავსებელს — „სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ ოპერატორსა და აქციონერს BP-ს, ბოლო პერიოდში მთელი რიგი პრობლემები დაუგროვდა: 1)BP-ის პლატფორმის მექსიკის ყურეში მომხდარი ავარიით გამოწვეული ფინანსური ზარალი; 2) „შაჰ–დენიზის“ კონსორციუმში დასუსტდა BP-ის პოზიცია, ამ კომპანიის აზერბაიჯანის პრეზიდენტის მხრიდან გაუთავებელი კრიტიკის გამო; 3)BP-ის არქტიკასა და ოფშორებში მოპოვების გამოცდილების გამო, „როსნეფტთან“ თანამშრომლობის დაწყებამ და „როსნეფტის“ აქციების მეხუთედის ბრიტანული კომპანიისთვის გადმოცემამ, „სამხრეთის გაზის დერეფნისადმი“ BP-ს ყურადღება შეამცირა; 4) საბოლოო ჯამში, 2012–2013 წლების „როსნეფტი“ – „ტე-ენ-კა BP“ გარიგებამ ბრიტანული კომპანიის ზარალი გამოიწვია; 5) ბერძნული გაზის ქსელის კომპანია „დეპას“ საპრივატიზაციო ტენდერიდან „გაზპრომის“ ჩამოცილება აზერბაიჯანული „სოკარის“ (BP-ის მსგავსად, ისიც „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმის წევრია) სასარგებლოდ შეასუსტა BP-ს პოზიციები აზერბაიჯანში და „ნაბუქოს“ განხორციელების ალბათობა შეამცირა; 6) დიდ ბრიტანეთთან ერთად BP-ს მთავარი მოკავშირე ქვეყნის — აშშ-ს ფიქლების გაზით თვითუზრუნველყოფა და მისი რეგიონული „ენერგეტიკული ბალანსის“ მოთამაშედ ჩამოყალიბება მის კასპიის რეგიონში ჩართულობის შესუსტებას იწვევს, რაც ვაშინგტონის ყურადღების ახლო სამეზობლოზე (სამხრეთ ამერიკა და შორეული აღმოსავლეთი) გადატანას ნიშნავს; 7) რუსეთის შემდეგ ევროპის მეორე გაზმომარაგების წყაროდ ნორვეგიის ჩამოყალიბება „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ორ წამყვან მოთამაშეს — BP-სა და ნორვეგიულ „სტატოილს“ შორის კონკურენციას ამწვავებს; 8)BP-ის ისრაელის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის საბადოების („ლევიაფანი“ და „თამარი“) მიმართ სტრატეგიული ინტერესი გაუჩნდა, რაც ადუნებს მის ყურადღებას „სამხრეთის გაზის დერეფნისადმი“ და მაშასადამე — „ნაბუქოსადმი“.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან „ევროპის მეხუთე დერეფნის“ აგების პერსპექტივასა და ისრაელისა და კვიპროსის გაზის დაზვერილ მარაგებს, „ნაბუქო-უესტის“ პროექტის „რეანიმაციის“ თეორიული შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს, მაგრამ კასპიისპირეთიდან ცენტრალურ ევროპამდე გადაჭიმული, გლობალური „ნაბუქოს“ განხორციელებას, სავარაუდოდ, საბოლოოდ დაესვა წერტილი.



# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 7 | | 4 | | | | |
| | | | 2 | 5 | | | | |
| | | 8 | | | | 1 | | 4 |
| 1 | | | | | | 8 | | 6 |
| | 8 | | 7 | | 9 | | 3 | |
| 4 | | 2 | | | | | | 1 |
| 3 | | 4 | | | | 6 | | |
| | | | | 7 | 4 | | | |
| | | | | 6 | | 2 | | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | | | | |
| | | 5 | 4 | | | | | 6 |
| | 3 | 9 | | 6 | | | | 5 |
| | 9 | | | 5 | 7 | 1 | | |
| | | 2 | | | | 8 | | |
| | | 7 | 2 | 4 | | | 3 | |
| 2 | | | | 9 | | 6 | 5 | |
| 8 | | | | | 4 | 7 | | |
| | | | | | | | | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | 9 | | 6 | |
| | | 6 | | | 3 | | 8 | 9 |
| | | 7 | | | | 5 | | |
| | | | | | 1 | | 7 | |
| 4 | | | | 8 | | | | 6 |
| | 1 | | 5 | | | | | |
| | | 4 | | | | 6 | | |
| 7 | 2 | | 3 | | | 4 | | |
| | 9 | | 1 | | | | | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 4 | 3 | 9 | | |
| | | 7 | | | | 4 | | 1 |
| | | | 7 | | 6 | | | |
| | | | | | | | 5 | 8 |
| 8 | | 3 | 6 | | 2 | 1 | | 7 |
| 7 | 5 | | | | | | | |
| | | | 5 | | 4 | | | |
| 6 | | 1 | | | | 7 | | |
| | | 8 | 9 | 6 | 7 | | | |

## ევროკავშირი მენთოლიანი სიგარეტის წარმოებას კრძალავს



„ბებერი ევროპა“ კვლავ იბრძვის თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ და ამჯერად დარტყმის ქვეშ მენთოლიანი სიგარეტი აღმოჩნდა, რომელიც ყველა ქვეყანაშია ნებადართული. ორიოდე დღის წინ ევროპარლამენტმა ახალი კანონპროექტი განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო — შეაჩეროს არომატული სიგარეტის წარმოება; თუმცა კანონი ძალაში სამი წლის შემდეგ შევა, რადგან ამ დროის განმავლობაში ეს საკითხი ევროკავშირში შემავალი ყველა ქვეყნის პარლამენტმა უნდა განიხილოს. ევროპარლამენტში დარწმუნებულები არიან, რომ საკითხის კენჭისყრასთან დაკავშირებით, პრობლემები არ შეიქმნება.

## ეჭვიანმა ქმარმა ცოლი გაასუქა

ბრიტანელი დელვარ სინგხი, ცოლს მისთვის რომ არ ეღალატა, საკვებში რეგულარულად სტეროიდებს უყრიდა. შედეგად, ქალი გასუქდა და თმის ცვენა დაეწყო. იგი ხშირად ჩიოდა საჭმლის მწარე გემოზე, მაგრამ მეუღლე აიძულებდა, კერძზე უარი არ ეთქვა, რადგან საყვარელი ქმრის მიერ მომზადებულ სადილზე უარის თქმას უპატივცემულობად აღიქვამდა. სიმართლე კი სრულიად შემთხვევით გაირკვა, როცა მათმა 15 წლის ქალიშვილმა დაინახა, მამა როგორ უყრიდა დედას საჭმელში წამალს. გოგონამ, რასაკვირველია, ყველაფერი დედას უამბო, რომელმაც სამზარეულოს კარადის ჩაკეტილი კარი გატეხა და იქ ქიმიური პრეპარატები აღმოაჩინა. ცოლმა მაშინვე პოლიცია გამოიძახა. საქმე აღიძრა და სასამართლომ ეჭვიან ქმარს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წელი შინაპატიმრობა მიუსაჯა. სასამართლო განხილვაზე ბრიტანელმა თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ არ სურდა, რქებდადგმული მეუღლის როლში აღმოჩენილიყო — მისი აზრით, იდეალური ცოლი სახლში უნდა იჯდეს, ოჯახს მიხედოს და შვილები გაზარდოს.





## ჯინსი ჯანმრთელობას ვნებს

თანამედროვე მოდის ცნობილ ბრენდებს იმაში ადანაშაულებენ, რომ მათი ნაწარმი ადამიანის ჯანმრთელობას ზიანს აყენებს. ექსპერტების მონაცემებით, გახეხილი ჯინსის მისაღებად, ფაქტურას ისეთი ნივთიერებით ამუშავებენ, რომელშიც სილიციუმი შედის. სწორედ ასეთი ნაერთი ვნებს ჯანმრთელობას და სილიკოზის დაავადებას იწვევს, რაც სასუნთქ სისტემას აზიანებს. დაავადებულთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა აღინიშნება აზიის ქვეყნებში — ჩინეთში, ბანგლადეშში, ინდოეთში, თურქეთში (აქ სილიციუმის ფხვნილის გამოყენება 2009 წლიდან აიკრძალა). ერთ-ერთი ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის თქმით, მათთან სილიკოზით მუშების მესამედია დაავადებული, თუმცა ადრე ამ დაავადებას ტუბერკულოზად მიიჩნევდნენ. ახლა ერთადერთ იმედად მოდის სახლები რჩება, რომლებმაც ფაქტურის სილიციუმის ფხვნილით დამუშავება აუცილებლად უნდა აკრძალონ.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 5 | 4 | 2 | 1 | 7 | 8 | 6 |
| 1 | 6 | 4 | 9 | 8 | 7 | 5 | 2 | 3 |
| 2 | 7 | 8 | 3 | 6 | 5 | 1 | 9 | 4 |
| 9 | 5 | 3 | 2 | 7 | 4 | 8 | 6 | 1 |
| 8 | 2 | 1 | 6 | 5 | 3 | 4 | 7 | 9 |
| 7 | 4 | 6 | 1 | 9 | 8 | 3 | 5 | 2 |
| 6 | 3 | 7 | 8 | 1 | 2 | 9 | 4 | 5 |
| 5 | 1 | 9 | 7 | 4 | 6 | 2 | 3 | 8 |
| 4 | 8 | 2 | 5 | 3 | 9 | 6 | 1 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 7 | 9 | 6 | 3 | 2 | 8 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 2 | 6 |
| 9 | 2 | 5 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 1 |
| 8 | 6 | 1 | 5 | 4 | 3 | 2 | 9 | 7 |
| 7 | 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 5 | 6 | 8 |
| 6 | 1 | 2 | 3 | 8 | 7 | 9 | 4 | 5 |
| 4 | 5 | 8 | 9 | 2 | 1 | 6 | 7 | 3 |
| 3 | 9 | 7 | 4 | 6 | 5 | 1 | 8 | 2 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 2 | 1 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 4 | 9 | 3 | 8 | 1 | 2 | 7 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 4 | 6 | 9 | 5 | 8 |
| 2 | 3 | 1 | 8 | 9 | 4 | 7 | 6 | 5 |
| 8 | 9 | 6 | 5 | 7 | 3 | 4 | 1 | 2 |
| 7 | 4 | 5 | 1 | 6 | 2 | 8 | 3 | 9 |
| 1 | 2 | 3 | 6 | 8 | 7 | 5 | 9 | 4 |
| 4 | 7 | 9 | 3 | 5 | 1 | 2 | 8 | 6 |
| 5 | 6 | 8 | 4 | 2 | 9 | 3 | 7 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 8 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 1 | 5 | 4 | 9 | 2 | 7 | 6 | 3 | 8 |
| 9 | 3 | 2 | 6 | 1 | 8 | 7 | 5 | 4 |
| 8 | 4 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 | 9 | 1 |
| 2 | 1 | 9 | 3 | 8 | 4 | 5 | 7 | 6 |
| 5 | 6 | 3 | 7 | 9 | 1 | 8 | 4 | 2 |
| 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 9 | 4 | 6 | 5 |
| 4 | 9 | 6 | 2 | 3 | 5 | 1 | 8 | 7 |
| 7 | 8 | 5 | 1 | 4 | 6 | 9 | 2 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 4 | 2 | 6 | 7 | 1 | 9 | 8 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 1 | 9 | 5 | 2 | 4 |
| 5 | 8 | 3 | 1 | 4 | 6 | 2 | 7 | 9 |
| 1 | 4 | 2 | 7 | 9 | 3 | 8 | 5 | 6 |
| 9 | 6 | 7 | 5 | 2 | 8 | 4 | 3 | 1 |
| 7 | 3 | 1 | 9 | 8 | 5 | 6 | 4 | 2 |
| 6 | 2 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 4 | 9 | 8 | 6 | 7 | 2 | 3 | 1 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 2 | 3 | 1 | 7 | 6 | 9 | 5 |
| 6 | 3 | 1 | 5 | 9 | 2 | 4 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 5 | 8 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 2 | 9 | 6 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 |
| 8 | 1 | 7 | 9 | 4 | 3 | 5 | 6 | 2 |
| 5 | 6 | 4 | 2 | 7 | 1 | 9 | 3 | 8 |
| 2 | 9 | 3 | 1 | 5 | 8 | 7 | 4 | 6 |
| 7 | 5 | 8 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 9 |
| 1 | 4 | 6 | 7 | 2 | 9 | 8 | 5 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 8 | 7 | 3 | 6 | 1 | 5 | 2 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 1 | 9 | 2 | 6 | 7 | 4 | 8 | 3 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 1 | 5 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 5 | 3 | 4 | 2 | 9 | 8 | 7 | 1 | 6 |
| 4 | 2 | 1 | 3 | 6 | 9 | 5 | 7 | 8 |
| 7 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 | 3 | 6 | 1 |
| 3 | 6 | 5 | 8 | 1 | 7 | 2 | 9 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 5 | 3 | 4 | 2 | 7 | 1 | 9 |
| 7 | 4 | 3 | 6 | 9 | 1 | 2 | 8 | 5 |
| 2 | 1 | 9 | 5 | 8 | 7 | 3 | 6 | 4 |
| 5 | 3 | 1 | 4 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 9 | 2 | 7 | 8 | 6 | 3 | 5 | 4 | 1 |
| 8 | 6 | 4 | 1 | 7 | 5 | 9 | 2 | 3 |
| 4 | 9 | 6 | 2 | 5 | 8 | 1 | 3 | 7 |
| 3 | 7 | 2 | 9 | 1 | 6 | 4 | 5 | 8 |
| 1 | 5 | 8 | 7 | 3 | 4 | 6 | 9 | 2 |

მე-13 გვერდი: 1. ორიონი; 2. რევერანსი; 3. ოლიმპიადა; 4. ყვითრი; 5. ვეზუვი; 6. თრიაქი; 7. ევრიკა; 8. ორიენტალისტიკა; 9. რუპორი; 10. იმბეცილი; 11. ინტინა; 12. ბრინზა; 13. არი; 14. მაინი; 15. არქივი; 16. ორლანი; 17. მინი; 18. აეროდრომი; 19. უნია; 20. სედანი; 21. ფორტეპიანო; 22. დანია; 23. იოკასტე; 24. ფენიქსი; 25. რიონი; 26. ნეი; 27. კუბრიკი; 28. ფრაუ; 29. „ასკანიო“; 30. ნალი; 31. სოლ; 32. ირაო; 33. ტიგრანი; 34. კარატი; 35. სოია; 36. აკოლადა; 37. ქუსლი; 38. იქსი; 39. ესელ 40. ტასო; 41. ოკრიბა; 42. ტიფონი; 43. გე; 44. ბადაგი; 45. სკენე; 46. აურა; 47. ოქტაგონი; 48. ნისტაგმი; 49. მურტალო; 50. მენისკი; 51. ლოტოსი; 52. მარსელი; 53. თვალი; 54. უბანი; 55. ტუში; 56. რიფი; 57. ოფოფი; 58. ანარა; 59. ქნარი; 60. ფილოსოფია; 61. ფოკა; 62. ტაო; 63. ლაუდა; 64. ბანოვანი; 65. „ალია“; 66. ასი; 67. ლაოსი; 68. არიფანა; 69. იტი; 70. აბგა; 71. პალომა; 72. ოლარი; 73. ალა; 74. სინუსი; 75. გო; 76. ბრა; 77. იაო; 78. იდო; 79. ორთი; 80. იფი; 81. ტირიფი.



1. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა
2. იგივეა, რაც შვილიშვილი
3. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში
4. ჭიანჭველას ძმობილი ქართულ ზღაპარში
5. „გრეჩიხა“- ქართულად
6. აზნაურის ტიტული ესპანეთში
7. ანდერსენის მშობლიური ქალაქი დანიაში
8. შარდის გამოყოფის შეწყვეტა
9. ლაოსის დედაქალაქი
10. მაყალზე შემწვარი ხორცი
11. აბესალომის სატრფო
12. თბილისის გარეუბანი
13. ქართველ ლეიბორისტთა ლიდერის სახელი
14. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
15. საოჯახო ელექტრო-ხელსაწყო
16. წელიწადის 1/12
17. ბურიატეთის დედაქალაქი ულან-...
18. ხმელთაშუა ზღვის განშტოება
19. ადამიანის ორგანიზმის დამცავი ბარიერი
20. საგნის მონახაზი, კონტური
21. ძვირფასმერქნიანი ხე, იგივე კოპიტი
22. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
23. სურათი ზღვის ხედით
24. ცნობილი საბჭოთა მხვერავი
25. გულშემატკივართა შეძახილი კორიდაზე
26. კატების შემსწავლელი მეცნიერება
27. დინამიტის გამომგონებელი
28. „მადამ ბოვარის“ ავტორი
29. შაბათის მომდევნო
30. აშშ-ის ტელეპრემია
31. ევროპის „მეზობელი“ ქვეყნის ნაწილი
32. კურკოვანი ხილი
33. ამერიკელი პანკ-მომღერალი ... პოპი
34. ალაბამას შტატის დედაქალაქი
35. პარკოსანთა ოჯახის მცენარე
36. დაბალზამებული გვამი
37. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
38. იგივეა, რაც მამონტის ხე
39. ცეცხლის მნათი ნაწილი
40. ნოტიო და ჩახუ-რებული ფქვილი
41. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი
42. სოფლური ქოხი უკრაინაში
43. მექანიკური მუშაობის ერთეული
44. ანტიკური კავალერია
45. ისტორიული ჩანაწერები, მატიანე
46. მარნის პატრონი „ღვინის ქურდებში“
47. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი
48. სასახლე - ძველ ქართულ ენაში
49. მსუბუქად შეიარაღებული კავალერისტი
50. დამხმარე თეორემა გეომეტრიაში
51. მექანიზმის, მანქანის ნაწილი
52. ელექტრული თევზი
53. ავტომატური ელექტრო-ხელსაწყო
54. ჩოგბურთელი ... სამპრასი
55. სასვენი ნიშანი
56. იაპონური ავტომარკა
57. ბიბლიური მოსეს ძმა
58. საბანკო შეტყობინება
59. კედელი ციხე-სიმაგრის გარშემო
60. წნელის მოზრდილი მაღალი ჭურჭელი
61. სოფელი სოხუმის რაიონში
62. პროფესიონალი მონადირე
63. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
64. ჩინელების ტრადიციული ტაფა
65. მადრიდის „რეალის“ ყოფილი მეკარე
66. პერსევსის დედა
67. სოფლური ქოხი შვეიცარიის ალპებში
68. გრძელი გალერეა, რომელსაც ერთ-ერთ მხარეს გასდევს სვეტების მწკრივი
69. რობერტ დე ...
70. მთის თუთიყუში
71. დათო ფორჩხიძის ყოფილი ჯგუფი
72. კარმენის მკვლელი
73. ინდოეთის საკურორტო შტატი
74. ხეჩოს გულის „ცენტრალნაია“
75. ნაპოლეონის საყვარელი ცხენის სახელი
76. ებრაული რელიგიის სიმბოლო-შვიდსანთელა
77. უჩინარი პერსონაჟი „ცისფერ მთებში“
78. სოფელი ზუგდიდის რაიონში
79. მასობრივი სპორტული სირბილი
80. ვაშლის ღვინო
81. მწერალი ... ტოლსტოი
82. დათა თუთაშხიას და
83. ნივთიერებათა ერთმანეთში შერევა
84. პერიოდული ბეჭდური გამოცემა
85. ბერძნული ანბანის I ასო
86. ბიბლიური პატრიარქი
87. ტროას მეორე სახელი



# პრინცი ჰარი ქორწინდება

ბრიტანული გამოცემა „დეილი ტელეგრაფი“ მკითხველს სამეფო ოჯახის სასიხარულო სიახლეს ამცნობს. უფროსი ძმის შ ემდეგ, პრინცმა ჰარიმაც გადაწყვიტა დაქორწინება, მისი რჩეული კი 24 წლის კრესიდა ბონასია, რომელსაც ჰარი თითქმის სამი წელია ხვდება. მომავალი ჰერცოგინიას ოჯახს პირდაპირი კავშირი აქვს ბრიტანეთის მეფე ედვარდ მეშვიდესთან და როგორც გვირგვინოსანთა ოჯახში ვარაუდობენ, სამეფო ქორწილი, ალბათ, გაისად შედგება. ბონასი პროფესიონალი მოცეკვავეა და წელს მუსიკოსის დიპლომიც მიიღო Trinity Laban Conservatoire-ში. მეგობარი გოგონას ოჯახში, რომელსაც დიდგვაროვანი ფესვების გამო ბოჰემურად მიიჩნევენ, ჰარის უკვე კარგად იცნობენ. კრესიდას მამა ბიზნესმენია, დედა — დიასახლისი.



# ჰოროსკოპი
## 14 ოქტომბერი

***ვერძი*** — ახლა წვრილმანებზე ფიქრის დრო არ არის, მით უმეტეს, რომ დიდია გარშემომყოფებთან ურთიერთობის დაძაბვის ალბათობა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლაც მოგიწევთ, თუმცა გახსოვდეთ, რომ ეს თქვენთვისაა საჭირო.

***კურო*** — წარმოქმნილი პრობლემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იქნება, მაგრამ მათ მოგვარებას დიდი დრო და ენერგია დასჭირდება. შეეცადეთ, დისტანცია დაიცვათ გარშემომყოფებთან, რადგან მხოლოდ ასე აიცილებთ თავიდან მოსალოდნელ უსიამოვნებას.

***ტყუპები*** — ნაკლები ყურადღება მიაქციეთ კოლეგების აზრს და ბოლომდე მიიყვანეთ დაწყებული საქმე. ეცადეთ, წესრიგი დაამყაროთ ყველა სფეროში და გახსოვდეთ, რომ სხვების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ.

***კირჩხიბი*** — დღე მოვლენებით დატვირთული იქნება, გაგახარებთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების გაფორმებისგან თავი შეიკავეთ და ნებისმიერი საქმიანი წინადადებაც კარგად გააანალიზეთ.

***ლომი*** — დღე საკმაოდ რთული იქნება — საყვარელი ადამიანი უამრავ საზრუნავს გაგიჩენთ, მაგრამ თქვენი კეთილგონიერებისა და ინტუიციის წყალობით, არსებულ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ.

***ქალწული*** — დღეს კარგი ამბის მოლოდინი გქონდეთ. ის გულს გაგითბობთ და სწორ გზაზე დაგაყენებთ... ეცადეთ, ნაკლებად კონფლიქტური იყოთ, რადგან ამის გამო თავს ძალიან ცუდად იგრძნობთ.

***სასწორი*** — გგონიათ, რომ ყველა თქვენს წინააღმდეგაა, მაგრამ ეს არაფერ შუაშია — უბრალოდ საპირისპირო აზრის მოსმენა არ გსიამოვნებთ, ამიტომ დროებით გვერდზე გადადეთ ეგოიზმი და გაითვალისწინეთ მეგობრების რჩევები.

***მორიელი*** — სიმტკიცესა და მიზანსწრაფულობას გამოიჩენთ, დასახულ მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. მოლაპარაკებები გეგმის მიხედვით ჩაივლის და გაფორმებული ხელშეკრულებაც იმედისმომცემი იქნება.

***მშვილდოსანი*** — უამრავი წინააღმდეგობა შეგხვდებათ, თუმცა თუ ნაკლებად აყვებით ჭორებს და მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იქნებით, მათ გადალახვას ადვილად შეძლებთ.

***თხის რქა*** — დღეს წარმატებებს მიაღწევთ როგორც სამსახურში, ისე საქმიანობის სხვა სფეროებშიც, საკუთარი პოტენციალი კი იქ გამოიყენეთ, სადაც თქვენი ნამდვილად ესმით და თქვენს იდეებს იწონებენ.

***მერწყული*** — რთული საუბარი მოგიწევთ თქვენთვის ძვირფას ადამიანთან. დადგა დრო, გაარკვიოთ ურთიერთობა და დაგეგმოთ შემდეგი ნაბიჯი.

***თევზები*** — თქვენი ზედმეტი აქტიურობა გამაღიზიანებელი იქნება გარშემომყოფებისთვის — ამიტომ ეცადეთ, ნაკლები ილაპარაკოთ და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ.





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


# ზედმეტი ძილი მავნებელია



ამერიკელმა მკვლევარებმა, რომელთაც უამრავი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გააანალიზეს, დაასკვნეს, რომ ზედმეტი ძილი ისეთივე საზიანოა ორგანიზმისთვის, როგორც უძილობა. გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივ ძილს შეუძლია ჭარბი წონის, გულის დაავადებებისა და დიაბეტის პროვოცირება, ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ, ძილის ინდივიდუალური რეჟიმი გამოიმუშაოთ, რომელიც არ იქნება 7 საათზე ნაკლები და 9 საათზე მეტი დღე-ღამეში.

# კატა შიდსის წინააღმდეგ



შიდსით ინფიცირებული კატის სისხლისგან ამ დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის დამზადება შეიძლება, — დაასკვნეს სწავლულებმა, რადგან კატების სისხლში არსებული პროტეინი ადამიანის იმუნიტეტს აძლიერებს. საუბარია კატის იმუნოდეფიციტის ვირუსზე (feline immunodeficiency virus). გამოკვლევებში ფლორიდის, კალიფორნიისა და სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის მეცნიერები მონაწილეობდნენ. მათ კატისებრი შიდსის ვირუსის ფერმენტიდან წარმატებით მიიღეს T-ლიმფოციტი, რომელიც იმუნოდეფიციტის ვირუსის წინააღმდეგ იბრძოლებს, თუმცა სწავლულები განმარტავენ, რომ ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ მათი ვარაუდია, რომელიც მომავალში საფუძვლიან გამოკვლევას საჭიროებს.



# ჰოროსკოპი
## 15 ოქტომბერი

***ვერძი*** — დღე უამრავ სასიამოვნო შთაბეჭდილებას პირდება მათ, ვისაც არა მხოლოდ პროფესიული წარმატების სურვილი აქვს, არამედ მეგობრებთან შეხვედრისთვის დროის გამონახვაც ყოველთვის შეუძლია. სამსახური და პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია — პოტენციურ პარტნიორებს სწორედ იქ შეხვდებით, სადაც გასართობად მიდიხართ.

***კურო*** — წარმატებას თქვენი უნარის წყალობით მიაღწევთ, რაც უცნობ ვითარებაში ადვილად ორიენტირებას გულისხმობს. ნუ დაიტვირთებით უინტერესო, მოსაწყენი საქმეებით. თქვენი ადგილი იქ არის, სადაც გამჭრიახობა და შემოქმედებითი მიდგომაა აუცილებელი.

***ტყუპები*** — შანსი გაქვთ, მეგობრების წრეში დრო შესანიშნავად გაატაროთ, მაგრამ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება თავად მოგიწევთ. სამსახური დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, მხოლოდ თვალი მიადევნეთ, სხვები რას აკეთებენ და მათ მიბაძეთ.

***კირჩხიბი*** — სასიამოვნო დღეა, ასაღელვებელი არაფერი გაქვთ, თუმცა ცვლილებები მაინც მოსალოდნელია, ეცადეთ, საეჭვო რეპუტაციის ადამიანებთან ურთიერთობას თავი აარიდოთ.

***ლომი*** — გაითვალისწინეთ, რომ ზედმეტი ხელგაშლილობა გაბანკროტებამდე მიგიყვანთ — ამიტომ მკაცრად აკონტროლეთ ხარჯი. არაა გამორიცხული გეგმები შეგეცვალოთ, რაც გაწყობას გაგიფუჭებთ, მაგრამ ასე საყვარელ ადამიანთან მეტ დროს გაატარებთ.

***ქალწული*** — მოსაწყენი პერიოდი გელით — გარშემომყოფებთან ურთიერთობა გიჭირთ. და ამიტომ, უმჯობესია, ახალი საქმით დაკავდეთ: გაქვთ შანსი, აქ წარმატებას მიაღწიოთ. ახლობლებთან ურთიერთობა კი მოთმინებას მოითხოვს და იმის აღიარებაც მოგიწევთ, რომ სრულყოფილი არ ხართ.

***სასწორი*** — დღე არ არის კარგი აჩქარებისთვის. ვიდრე საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, კარგად დაფიქრდით ან სხვებს ჰკითხეთ რჩევა.

***მორიელი*** — აღმოაჩენთ, რომ ყველა წინააღმდეგობა დაძლეულია, თუმცა ნუ მოდუნდებით, რადგან კიდევ დიდი ძალისხმევა გჭირდებათ დასახული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილებების მიღებისას კი მხოლოდ საკუთარ ინტუიციას ენდეთ.

***მშვილდოსანი*** — საკმაოდ წარმატებული დღეა მათთვის, ვისაც პროფესიული ზრდის სურვილი აქვს. ემოციური ფონი სტაბილურია, თუმცა კარგი იქნება, თავს განტვირთვის საშუალებაც მისცეთ.

***თხის რქა*** — დილიდანვე მოირგეთ ვარდისფერი სათვალე და დატკბით ცხოვრებით. რასაც ვერ შეცვლით, იმაზე ზედმეტად ნუ ინერვიულებთ. უმჯობესია, დღის დიდი ნაწილი შინ, ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ. ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ თქვენც და თქვენს ახლობლებსაც.

***მერწყული*** — დღე ისე წარიმართება, როგორც დაიწყებთ. კარგი იქნება, დილიდანვე შეადგინოთ შესასრულებელი საქმეების სია და იმის მიხედვით იმოქმედოთ. ფულით, რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ იყიდით, მაგრამ საკუთარ თავს დღეს უარს ნურაფერზე ეტყვით.

***თევზები*** — კოლეგები და უფროსობა თქვენს პროფესიონალიზმს აფასებენ და ეს აუცილებლად უნდა გამოიყენოთ. თუმცა გახსოვდეთ, რომ ცხოვრებაში კარიერის გარდა, სხვა საკითხებიც არსებობს, რომელიც თქვენს ყურადღებას იმსახურებს.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 6 | 1 | 9 | | 7 |
| | | | 5 | 9 | | 3 | | 6 |
| 1 | | | | | | | | 2 |
| 7 | | 2 | | | | 1 | | 8 |
| | | | | 8 | | | | |
| 4 | | 8 | | | | 7 | | 5 |
| 9 | | | | | | | | 3 |
| 2 | | 5 | | 1 | 7 | | | |
| 3 | | 4 | 9 | 2 | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 4 | | 3 | 2 | | | |
| | 5 | | | | | | | |
| | | | 6 | | | | | 3 |
| | 4 | | | 9 | | 2 | | |
| | | 2 | 8 | | 5 | 6 | | |
| | | 5 | | 4 | | | 8 | |
| 9 | | | | | 4 | | | |
| | | | | | | | 2 | |
| | | | 1 | 5 | | 8 | | 9 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | 7 | | 6 | | 4 | 2 | |
| | | 4 | 2 | | | | | |
| 3 | 2 | | | | | | | |
| | 4 | | 6 | | | 5 | | |
| 5 | | 6 | | 4 | | 7 | | 2 |
| | | 9 | | | 3 | | 1 | |
| | | | | | | | 5 | 9 |
| | | | | | 7 | 8 | | |
| | 6 | 5 | | 8 | | 1 | 7 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | 8 | 5 | | | |
| | 3 | 5 | 2 | | | | | |
| | | | 1 | 3 | | 5 | | 4 |
| 5 | | | | | | 4 | 6 | 3 |
| | | 4 | | 5 | | 1 | | |
| 6 | 1 | 3 | | | | | | 8 |
| 3 | | 2 | | 9 | 1 | | | |
| | | | | | 2 | 8 | 9 | |
| | | | 8 | 6 | | | | 2 |



## ყველაზე ძვირფასი ვარცხნილობა

სამკაულების ბრენდმა Graff Diamonds ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სარეკლამო კამპანიის თანამედროვე ვერსია გადაიღო. 1970 წელს ამ ცნობილმა ბრენდმა საზოგადოება „მილიონდოლარიანი ვარცხნილობით" გააოცა, 2013-ში კი, რეკლამისთვის მოდელს თმაში 500 მილიონი დოლარის ღირებულების ბრილიანტები ჩაუბნიეს. სარეკლამო კამპანია ბრენდის 60 წლის იუბილესა და მე-40 მაღაზიის გახსნას მიეძღვნა. ფოტოსესიაში მოდელს უჩვეულო ვარცხნილობა აქვს და თმაში 22 ძვირადღირებული სამკაული უკეთია. მათ შორის ორი დიდი ზომის ბროში, რამდენიმე სამაჯური, საყურე და ბეჭდები.

## მერლინ მონროს ბუნებრივი სილამაზე ეჭვქვეშ დგება

მსახიობის გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, საზოგადოებას მაინც აქტიურად აინტერესებს ყველაფერი მის შესახებ. განსაკუთრებით კი ის — მონროს სილამაზე ბუნებრივი იყო თუ არა და როგორც ჩანს, ამ კითხვას პასუხი მალე გაეცემა.

გაკეთებული ჰქონდა თუ არა სილამაზის ეტალონად მიჩნეულ მსახიობს პლასტიკური ოპერაციები? ეს გამოცანაა, რასაც უამრავი ჭორი და ვარაუდი ახლავს, სიმართლეს კი ფარდას ახდის სამედიცინო დოკუმენტები, პლასტიკური ქირურგის, მაიკლ გურდინის ჩანაწერები და მსახიობის რენტგენის სურათები, რაც მომავალ თვეს Julien's-ის აუქციონზე გაიყიდება, მფლობელი კი, რომელიც დღემდე ინკოგნიტოდ რჩება, ამ „სამხილების" გაყიდვით, 15-დან 30 ათას აშშ დოლარამდე შემოსავალს მიიღებს. დოკუმენტების მფლობელი ამტკიცებს, რომ ისინი საჩუქრად თავად გურდინისგან მიიღო და მათი მიხედვით, მერლინ მონროს რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული. დოკუმენტებში ნახსენებია ვარსკვლავისთვის 1950 წელს იმპლანტის ჩადგმა ნიკაპში — ეს პროცედურა მსახიობმა მისი ყველაზე პოპულარული ფილმების გადაღებამდე („ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან", „როგორ გავთხოვდეთ მილიონერზე") გაიკეთა, როცა პლასტიკური ოპერაციები წარმოუდგენელი რამ იყო. რენტგენის სურათები კი, რომელზეც მონროს სახეა ასახული, 1962 წლის 7 ივნისით თარიღდება — მსახიობი დაეცა და სახე დაიზიანა, რის გამოც გურდინს მიმართა ოპერაციისთვის. სურათების ანალიზმა აჩვენა, რომ მერლინს ცხვირი ჰქონდა დაზიანებული და რინოპლასტიკა გაიკეთა. იმ პერიოდში მონრო, ხშირი გაცდენის გამო დაითხოვეს ფილმის გადაღებებიდან, რომელსაც წინასწარმეტყველური სახელწოდება ჰქონდა — „რაღაც უნდა მოხდეს". რენტგენის სურათების გადაღებიდან ორი თვის შემდეგ, 36 წლის მერლინ მონრო გარდაიცვალა, სავარაუდოდ, საძილე საშუალებების დიდი დოზით მიღების გამო.





## ინდოეთში ბავშვების „მწარმოებელი" ქარხანა გაიხსნა

ინდოეთის ქალაქ ანანდში მსოფლიოში პირველი ქარხანა გაიხსნა, სადაც ასობით უმუშევარი ინდოელი ქალი ფულს სუროგატობით იშოვის. მომავალ მშობლებს შეუძლიათ გაგზავნონ საჭირო „მასალა" (სპერმა და კვერცხუჯრედი), შემდეგ კი, დანიშნულ დროს ჩავიდნენ ინდოეთში და წაიყვანონ ბავშვი. კლინიკის ამოქმედებაში მილიონობით დოლარის ინვესტიცია ჩაიდო — აქ არის კეთილმოწყობილი პალატები და სამშობიარო სახლები, ოფისები, ექსტრაკორპორალური განაყოფიერების განყოფილებები, ასევე რესტორნები და საჩუქრების მაღაზია. სუროგატი დედა ყოველ ბავშვზე დაახლოებით 8 ათას დოლარს მიიღებს, მომავალი მშობლები კი 28 ათას დოლარს იხდიან. ამჟამად კლინიკაში 100-მდე ორსული ქალია.

# ორგანიზაციათა მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა — მინიმალური ინვესტიცია, მაქსიმალური შედეგი!

ლევან ცალუღელაშვილი
570-700-537



თანამედროვე გიგანტი კომპანიები არ იარსებებდნენ ტოპ მენეჯერების გარეშე. კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრა, სრულყოფა და სტრატეგიული განვითარება – ნებისმიერი კომპანიის სასიცოცხლო მნიშვნელობის მიზანს წარმოადგენს. ყოველივე ეს კი შესაბამისი, სპეციალური ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ აშშ-ში არსებულმა ერთ-ერთმა პრესტიჟულმა უნივერსიტეტმა არაამერიკელი სტუდენტებისთვის სწავლების უნიკალური მოდელი შექმნა. უნივერსიტეტი სტუდენტს საშუალებას აძლევს, ისწავლოს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე დისტანციურად, მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის საფასურად. იგივე სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა ამერიკელ სტუდენტს ორი წლის განმავლობაში 25 000 დოლარამდე უჯდება, აქციის ფარგლებში კი არაამერიკელი სტუდენტი მხოლოდ 680 დოლარის გადახდის საფუძველზე იწყებს სწავლას. მთლიანად კი, ორწლიანი სასწავლო პროგრამა მხოლოდ 1400 დოლარამდე უჯდება. სწავლება მიმდინარეობს ელექტრონული სასწავლო მასალების გამოყენებით. სტუდენტი, ცხადია, უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას და უნდა გააჩნდეს ბაკალავრის დიპლომი. ასეთი შეთავაზებით უნივერსიტეტი ერთი მხრივ, სწორედ სწავლის ხელმისაწვდომობაზე ზრუნავს, ხოლო მეორე მხრივ — სტუდენტებს შორის პოპულარობით სარგებლობს. თავად პროგრამებს რაც შეეხება, უნივერსიტეტი ამჟამად სთავაზობს სამაგისტრო პროგრამებს (MBA) მარკეტინგის მენეჯმენტში, სასტუმრო ბიზნესის ადმინისტრირებასა და ორგანიზაციათა მართვაში. პროგრამების უნიკალურობა კიდევ ისაა, რომ დასაქმებულ სტუდენტს საშუალებას აძლევს, ისწავლოს თავისუფალ დროს ან სულაც, დროებით, ტაიმ-აუტი აიღოს და სწავლა მოგვიანებით განაგრძოს. საქართველოში აღნიშნულ პროგრამებზე სწავლება უკვე მიმდინარეობს. მომავალ სტუდენტს შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, ახალ ჯგუფთან ერთად განაგრძოს სწავლა. პროგრამის მიმდინარეობას საქართველოში კოორდინაციას უწევს სააგენტო „დანიკა კონსალტინგი“. როგორც სააგენტოში აცხადებენ, აქციას უნივერსიტეტი სწორედ სააგენტოს მეშვეობით ახორციელებს. სააგენტო თავის მხრივ, სწავლების განმავლობაში სტუდენტებს უნივერსიტეტთან კომუნიკაციაში სრულ ტექნიკურ მხარდაჭერას სთავაზობს. სწავლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი და გადაეცემა დიპლომი.

# 20 ოქტომბერს მთელი ქვეყნის მასშტაბით აქცია ჩატარდება




20 ოქტომბერს, 12:00 საათზე, საქართველოს ყველა ქალაქში ოკუპაციის წინააღმდეგ და ქვეყნის დასავლური კურსის მხარდასაჭერად მასშტაბური აქციები ჩატარდება. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, მოსახლეობა ყველა ქალაქში შეიკრიბება და აღნიშნულ გზავნილებთან დაკავშირებით საკუთარ მოქალაქეობრივ პოზიციას დააფიქსირებს. შეკრებაში მონაწილეობას საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რიგითი მოქალაქეები მიიღებენ.

**„ბატონებო და ქალბატონებო, 20 ოქტომბერს, 12:00 საათზე ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო, მისი ტერიტორიული მთლიანობა, რუსეთის აგრესიული — საოკუპაციო პოლიტიკის დასრულება და საქართველოს ევროპული არჩევანი — შევიკრიბებით საქართველოს ყველა ქალაქსა თუ რაიონულ ცენტრში, მთავარ მოედანზე.**

**მხოლოდ მდუმარე აქციით, პლაკატებითა და ტრანსპარანტებით — „არა ოკუპაციას!“, „ევროპა ჩვენი არჩევანია!“ და საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია. 20 ოქტომბერი, მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური შეხედულებებისა და მისწრაფებებისა, მიუხედავად ღირებულებითი განსხვავებისა, ვაქციოთ ჩვენი ქვეყნის ერთიანობის დღედ, სადაც ერთმანეთის გვერდით დადგებიან ხელისუფლება და ოპოზიცია, სხვადასხვა სოციალური სტატუსის ადამიანები და ერთად ვუთხრათ მსოფლიოს, რომ ჩვენ, ყველაფრის მიუხედავად, გვაქვს საერთო ფასეულობა — სამშობლო და საერთო მისწრაფება — თავისუფალ და დემოკრატიულ სამყაროში ინტეგრაცია.**

**20 ოქტომბერი ვაქციოთ დღედ, როდესაც ვეტყვით მსოფლიოს — „გააჩერეთ რუსეთი!“, ვაქციოთ დღედ, რომელიც იქნება უმთავრესი გზავნილი ვილნიუსის სამიტის მონაწილეებისთვის — „ჩვენი არჩევანია ევროპა!“**

**მივმართავთ მედიას, აქტიურად გააშუქოს აქციის მოსამზადებელი პერიოდი და მიმდინარეობა. მივმართავთ ადგილობრივ თვითმმართველობებს, ხელი შეუწყონ აქციისთვის შესაბამისი ტერიტორიების გამოყოფას. მივმართავთ საზოგადოებისთვის ავტორიტეტულ ადამიანებს, აქტიურად დაუჭირონ მხარი ამ ინიციატივას და მონაწილეობა მიიღონ მის ჩატარებაში. მივმართავთ საქართველოს რიგით მოქალაქეებს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია საკუთარი ქვეყნის ბედი, მიიღონ უშუალო მონაწილეობა აქციაში. ის, რაც დღეს ჩვენს სამშობლოში ხდება, ყველას გვეხება, ყველას ტკივილია და, შესაბამისად, მოგმართავთ რანგის, სტატუსის, პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური მრწამსისა და კუთვნილების, სქესისა და ასაკის მიუხედავად.**

**სამშობლოს ვკარგავთ და არ გვაქვს უფლება, ამას გვერდიდან ვუყუროთ. ქვეყნის წინაშე ორი უმთავრესი გამოწვევა დგას: ოკუპაციის შეჩერება და ევროპული არჩევანის დადასტურება. პოლიტიკა ჩიხშია, ვალდებულნი ვართ, პოლიტიკოსები დილემის წინაშე არ დავაყენოთ და ჩვენ — ხალხმა უნდა ვთქვათ სათქმელი. ერთად უნდა დავდგეთ სამშობლოს დასაცავად და ჩვენი ღირებულების გადასარჩენად“,** — ნათქვამია საორგანიზაციო ჯგუფის განცხადებაში.

აქციაში მონაწილეობის მსურველებს შეგიძლიათ გაწევრიანდეთ სოციალურ ქსელში შექმნილ სპეციალურ ჯგუფში: https://www.facebook.com/events/230969797061436/declines/?notif_t=plan_mall_activity




ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.